ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალი

X წ. ყოველკვირეული გაზეთი. X წ.

№ 8. კვირა, 17 თებერვალი 1902 წლისა. № 8.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების" კანცელარიაში და „კვალის" რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ".

შინაარსი: ვიკტორ ჰიუგო.—შინაური მიმოხილვა.—საერო განათლების განათლების მინისტრის განცხადება.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—წერილი მიუნხენიდან, კ. პ—ნისა.—გაზაფხული, ლექსი დ. ხუნდაძისა.—სამწუხარო შედეგი, ე. ნინოშვილისა.—გერმანიის სინდიკატები, თარგ. მ. წ—სა.—ჩვენი თეატრი და დილეტანტიზმი, ვ. შავლისა.—„ივერიის" თავაზიანობა, ნ. ელიაევასი.—სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი.—ჟურნ. გაზეთებიდან.—წერილი რედ. მიმართ.—საქ.-მოქ. საქმე.—შეცდ. გასწ.—„კვ." ფოსტა.—განც.

ვიქტორ ჰიუგო.

13 ამ თვეს (ახალი სტ. 26-ს) საფრანგეთს დიდებულათ უნდა ედღესასწაულა თავისი გამოჩენილი პოეტის დაბადების ღირსსანსოვარი ასის წლის თავი. ამ დღისთვის მთელი საფრანგეთი, გაურჩევლათ პარტიათა და მიმართულებისა, ერთი გრძნობით, ერთის აღფრთოვანებულის სიხარულით ემზადებოდა საფრანგეთის სიამაყე პოეტის პატივ-საცემლათ. ქალაქმა პარიჟმა დღესასწაულისათვის, რომელიც გაგრძელდება რამდენსამე დღეს, გადადვა 200,000 ფრანკი და მთავრობამ 80,000 ფრანკი. ქართველი მკითხველიც იცნობს დიდებულ პოეტს. გადმოთარგმნილია მისი რამდენიმე ლექსი, „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა", „საბრალონი", „კლოდ-გე" და სხვა.

ჰიუგოს ბიოგრაფია და მისი სალიტერატურო და მოქალაქობრივი მოღვაწეობა ჩვენ უკვე გავაცანით მკითხველებს წარსული წლის „კვალის" № 44-ში, და აქ მხოლოთ აღვნიშნავთ პოეტის ზოგიერთ დამახასიათებელ თვისებებს, რომელნიც უფრო მეტათ აცისკროვნებენ მის სახეს არა მარტო, როგორც პოეტისას, არამედ როგორც თავისი დროის შვილს, საზოგადო მოღვაწეს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„დღეს რომ კითხოთ უბრალო ფრანგ მოქალაქეს, მუშას და მწერლებში რომანტიკოსს გინდ პარნასელს: ვინ არის ახალი დროის უდიდესი პოეტიო? უეჭველია გეტყვიან, ვიქტორ ჰიუგოო", ამბობს ბრანდესი და განმარტებს კიდეც, რამ გამოიწვია ასეთი აზრი მის შესახებ და რით მოინადირა პოეტმა ხალხის გული.

„ჰიუგომ პატივის-ცემა დაიმსახურა თავისი უმწიკვლო ყოფა-ქცევით". მიუხედავათ იმისა, რომ ჰიუგო ახალ-გაზდობაში ბონაპარტისტი იყო, და შემდეგ რესპუბლიკანელი, იგი მუდამ ერთი აზრით იყო გამსჭვალული: ის ცხოვრებაში, მისი პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში ეძებდა თავისი რწმენათა დასაბუთებას და მისი ოპოზიციაც თანამედროვე წყობილების წინააღმდეგ დამყარებული და გამოწვეული იყო სოციალური უთანასწორობა-უსამართლობით. მას ესმოდა პროლეტარიატის სასოწარკვეთა მცირედი შეძენის შემდეგ, რომელიც ერგო უკანასკნელს ინგლისის რევოლიუციის შემდეგ; მას გაგებული ქონდა ის ყრუ სიძულვილი შეძლებულ კლასისადმი, რომელსაც აყოლოდა ხალხი. და ის გამოთქვამდა ამ გრძნობათ თავის ლექსებში.

რესპუბლიკის დროს ვიქტორ ჰიუგოს ჩვენ ვხედავთ დახელოსანთა ინტერესების მცველათ. მისი პირველი სიტყვა წარმოთქმული „დამფუძნებელ საკრებულოში" ხელოსანთა შესახებ, ყუმბარასავით დაეცა რეაქციონერთა ბანაკში. ამ დღიდან ის იყო დამცველი მუშათა წოდებისა და როგორც სენატორი დიდ სამსახურს უწევდა მუშების საქმეს.

ის ცეცხლ-მფრქვევი სიტყვებით გმობდა ადამიანის სიკვდილით დასჯას, და არა ერთი უბედური გამოგლიჯა თოკის წვერს თავისი წერილებით საფრანგეთის მთავრობასთან. გმობდა მკაცრ სისხლის სამართლის კანონებს, იცავდა მწერლობის თავისუფლებას, რწამდა სიმართლის გამარჯვება, ქადაგებდა მოქალაქეობრივ პირდაპირობას, და თავ-განწირულ მამულიშვილობას. უთითებდა საფრანგეთს და მასთან მთელ კაცობრიობას მეოცე საუკუნეზე, როგორც მომავალის განთიადის სხივზე. ხალხის ტანჯვა, მისი ტანჯვაც იყო. ხალხის სულის კვეთება მისი აღმაფრთოვანებელი. ხოლო მისი მკვეთრი ენა კი ბასრი ცელი ცხოვრების ველზე ღვარძლის მოსათელათ და ამოსაგდებათ.

ერთ თავის რომანს, სათაურით „განკიცხულნი", ასეთი წინასიტყვაობა წაუმძღვარა მან: „იმ დრომდე მინამ ხელოვნურათ იქნება შექმნილი ხალხისათვის ჯოჯოხეთი ცივილიზაციის აყვავებასთან ერთად, ვიდრე იქნება პროლეტარი, სულიერი გახრწნა მშიერი ქალებისა და დამახინჯება ბავშვების ბუნებისა; ვიდრე დედამიწაზე არ მოისპობა მათხოვრობა, შიმშილი, სიბნელე ამისთანა წიგნი (ე. ი., „განკიცხულნიო") ყოველთვის სასარგებლო დარჩებაო". აი, ეს სიტყვები კარგათ ახასიათებენ მთლათ ვიქტორ ჰიუგოს მოღვაწეობას. ეს სიტყვები გვიჩვენებენ ჩვენ რას ემსახურებოდა ის მთელ თავის სიცოცხლეში და დღეს რისთვის იგონებს მას საფრანგეთი და მასთან მთელი კაცობრიობა, საცა კი ცივილიზაციის შუქს ოდნავ, მაინც შეუბჟუტებია.

ხელნაწ. ინს. საჯარო ბიბლიოთეკა

შინაური მიმოხილვა.

ჩვენი ქალაქების მოუწყობლობა და მათი გამგე-პატრონთა უმოქმედობა და დაუდევრობა დღეს საზოგადოთ ფრაზათ არის გადაქცეული. მკითხველიც იმ ზომამდე შეეჩვია ამ მოვლენას, რომ მას მხოლოთ ის გააკვირვებს, რომ სადმე წესისა და რიგის არსებობა აღნიშნავ. (ჩვენ არა ერთხელ გვქონია ამ საგანზე ლაპარაკი და მთავარი მიზეზიც პირდაპირ აღგვინიშნავს, რომელიც ყოველ ეჭვს გარეშემდგომარეობს თვით ქალაქის მართვის ორგანიზაციაში და ამაზე აღარ შეეჩერდებით) სამწუხარო მდგომარეობაშია ამ მხრით ყველა ქალაქები, მაგრამ ყველას უსწრებს, თავისი სიძველით თავმომწონე, ოზურგეთი, რომლის სურათს გვიხატავენ «ცნ. ფ.»-ის და „Нов. Об.“-ეს კორესპონდენტები. პირველში წერია („ცნ. ფ.“ № 1717) «ეს რამდენიმე წელიწადია, რაც მდ. ბჟუჟმა დატოვა თავისი კალაპოტი და გაიგელია ახალი. მისი დღევანდელი მიმდინარეობა იმდენად საშიშია, რომ ბევრს მოელის ყური და ახალი სამოსახლოს ძებნა. ბევრს უკვე წაართვა სამოსახლო და გაშენებული ადგილები. ეს საშიში მდგომარეობა რამდენიმე მცხოვრების და ქალაქის ერთი ნაწილისა მრავალჯერ იყო გაზეთებშიაც მოხსენებული. გრიაზნოვის აზრით, საჭიროა თვით საბჭომ იკისროს ამისი მეთაურობა და იმეცადინოს ადმინისტრაციით ან და მცხოვრებლებთან ერთად შეერთებით (იმეცადინონ) მდინარის ძველ კალაპოტში გადაგდება. საბჭომ ხმის უმეტესობით ამ საქმისათვის გადასდო 20 თუმანი და აირჩია კომისია, რომელიც უნდა მოელაპარაკოს მაზრის უფროს და მისის დახმარებით საქმეს უნდა შეუდგენ. ამავე საბჭომ გადასწყვიტა ნაცვლათ 84 ფარნისა დაიდგას ასი... გაუჯობესდეს ქუჩები, მოიგენწოს და სადაც შეიძლება კიდეც გაფართოვდეს. საბჭოს მოხსენდა აგრეთვე, რომ ქალაქის ამბულატორიის ფერშალს მოუმატოს სასყიდელი. დღეს ფერშალს მთელი დღის შრომაში უძღვა 12 მან. მას იმდენი საქმე აქვს, რომ კერძო პრაქტიკა სულ არ აქვს. კრებამ, რომელშიც სამი ექიმიც ურევია, მიიღო მონაწილეობა და 12 მ. ნაცვლათ დაუნიშნა 15 მან...

სხდომაზე გარდაწყვეტილ იქმნა აგრეთვე ბაღს მიუქცეს მეტი უურადღება და სხვა.

იქიდანვე წერენ „Н. Об.“-ეს (№ 5963) ქალაქის რწმუნებულთა კრებაზე აღმოჩნდა, რომ ჩვენ გვქონია ცეცხლის მქრობელი წყლის საქაჩავი, რომელშიაც მას ჯამსა მიუციათ 500 მანათამდე. ახლა ის „ანისკენებს დაკმაყოფილდა და მხოლოთ არქეოლოგებისთვის არის საინტერესო»... «შემდეგ შეეხენ ქალაქის სანიტარულ მხარესაც და აირჩიეს კომისია ექიმებისაგან. ამ კომისიას დიდი შრომა მოელის, რადგან ქალაქში მძვინვარებს ტიფი და სხვა ავათყოფობანი. ქალაქი ჩაიდუდა უწმინდურობაში, უმთავრესათ იმის წყალობით რომ მჭიდროთ დასახლებულ ადგილას მრავალი თავლაა. კომისიამ უნდა მიაქციოს ყურადღება აგრეთვე საკვნო (ბაზრის) მოედანს», რომელიც მეტათ მოუწესრიგებელია (კურსივი ყველგან ჩვენია).

აი ასეთია დღევანდელი სურათი ოზურგეთისა, და მართლაც ახალ საბჭოს და საქმის მეთაურთ დიდი შრომა და მეცადინეობა მართებსთ, რომ ქალაქი რასმე დააგვანონ, თორემ დღეს სიძველის მეტი არაუერი ქონიათ ხელში: ქალაქი და სოფელი წყალს მიაქვს, არ ყავთ უზრუნველყოფილი ისეთი მდაბალი, მაგრამ მეტათ სასარგებლო მუშაკი, როგორიც არის ფერშალი, უყურადღებოთ აქვთ მიტოვებული ბაღი, არა ყავთ ცეცხლის მქრობელი რაზმი, ქალაქი ჩაფლულია სიბინძურეში, არ უვარგათ განათება და ყოველივეს აღნიშნულია მხოლოთ ორ კორესპონდენციაში. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ასეთი მასალა მალე არ შემოელევათ კორესპონდენტებს და კიდევ დაგვანახვებენ რამე საინტერესოს. ვისურვებთ შეძლებოდესთ ყოველივე ამის მოწესრიგება ქალაქის ახალ გამგეს, თუმცა ვეჭვობთ კი და გვაეჭვებს უფრო ის გარემოება, რომ თითქმის ყველანი ძველი მოურავის პარტიის [illegible] ლია. ჩვენი გაზეთისთვის არა ერთხელ უსაყვედურნიათ, რომ ოზურგეთის ყოფილი მოურავის „მოღვაწეობა“ არ მოწონდა, და ზოგიერთები ამ მიზეზით თვითმართველობის მოწინააღმდეგეთაც კი გვსახავდენ, მაგრამ დრო ყველა მსაჯულზე უფრო სამართლიანია და გამოააშკარავა, თუ რა გვალაპარაკებდა ჩვენ, და რა მოუღვაწია ძველ მოურავს. მკითხველი ადვილათ დაინახავდა, რომ ნაკლულევანებათა უმრავლესობა ძველი სენია და არა უკანასკნელი წლის განმავლობაში შეძენილი: მდინარეს „რამდენიმე წელიწადია“ მიაქვს ქალაქი; სიბინძურის ბუდე შუაგულ ქალაქში გაშენებული თავლებია, რომლებიც დღეს და გუშინ არ აუგიათ; ქუჩებიდან ქვა არ აუკრეფიათ და არც ამ წლის განმავლობაში შეუვიწროებიათ; წყლის საქაჩავიც „მას ჯამსაშინა“ უყიდნიათ და ჩაუკეტიათ და სხვა-და-სხვა. ამითი ჩვენ სრულიად არ გვინდა გავამართლოთ დღევანდელი შემოხვევითი გამგის მოქმედება, მაგრამ საჭიროთ მიგვაჩნია ხაზის გასმა წინანდელის დასახასიათებლათ: აშკარაა მას ძლიერ ცოტა უზრუნვია ქალაქის უპირველეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ის მოუნდა მალალ ფარდებში ფრენას, ქვევით დედამიწა კი დაავიწყდა და ამიტომ მოიყარა თავი ყოველივე მოუწესრიგებლობამ ახლა. ამას გვალაპარაკებს არა ჩვენი „დამბრმავებელი“ დოგმა, არამედ იმ გაზეთებიდან ამოკრებილი ფაქტები, რომელნიც დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდენ ყოფილ ლორდ-მერს, და ამის არ ნანახვა შეუძლიათ მხოლოთ პირადი სიმპატიით დაბრმავებულთ...

*
* *

ჩვენ გვაქვს მეორე ძველი ქალაქიც, რომელსაც სახელათ ფოთი ქვია, მაგრამ მისი იმედიათათ ისმის რამ. ის მოლათ გადაყლაპა მისმა თავმა. და თუ მან ქალაქის გადაყლაპვა შეიძლო, რა გასაკვირვალია თუ გაუკირვებლათ გადაყლაპა ის წერილი, რომელიც 15 ათასის ანგარიშს თხოვდა, ანის შენიშვნა, რომელიც ნათლათ ხდიდა, თუ რატომ ამა და ამ სისტემის განათების შემოღებას ურჩევდა თავის ტანს და საქმისგათავებაც უსათუოთ მის მოწონებულ კონსტრაგენტიან. (იხ. «არგონ.») მაგრამ ახლა იმ თავზე არ გვინდა სიტყვის გაგრძელება, დავიკადოთ, სანამ ტანი შეინძრევა. აქ გაკვრით გვინდა მოვახსენოთ მისი მეზობელი ბერეტიანი, რომელიც ისე დახელოვნებულია სოფლიდან ჩამოსული ხალხის გაყვლეფაში. ის არ კმაყოფილდება მით, რომ, როგორც მონოპოლისტი—მოიჯარადარე, საკმაო გამოსარჩენს იღებს უშრომლათ, და საკუთრებასაც ართმევს და ულუკმა პუროთ ისტუმრებს ხალხს. როგორც ჩვენი კორესპონდენტი გვწერს (იხილე კორესპონდენცია გურიიდან) უჩივლიათ კიდეც მის ნახელავებს, მაგრამ მართლაც „ვინ იცის გამოვა თუ არა რამე“, რადგან სხვა არ იყოს რა, ის წანაგლეჯი ორი ათასი მანათი მაინც მეტ იარაღს აძლევს ხელში „თავის დასაცველათ“. ამ გულმოწყალე მოიჯარადრეს და გვგონია ჩვენი კორესპონდენტი კედელს აყრის ცერცვს, როცა მომართავს ბერეტიანს: „არაა საკადრისი ასეთი მოქმედება ადამიანისთვისო“. აქ ადამიანი აღარ არის, აქ ჩვენ საქმე გვაქვს „გიორგი პინტილიანის“ ტიპის უმდაბლეს წარმომადგენელ არსებასთან და მისგან ადამიანობის მოთხოვნა ტყუილი იმედია. ვნახოთ, ისევ სამართალი რას იტყვის...

*
* *

საითაც უნდა გაიხედოს ჩვენი ცხოვრების მიმოხილველი, ბოლოს მაინც თვალსა უნდა დაუბრუნდეს, რადგან ეს ცენტრია კავკასიის კულტურულ ერების ცხოვრებისა; აქ მრავალია ყოველგვარი დაწესებულება და კიდევ უფრო მეტია მა-

თი სამაგალითო „მოქმედება“. აიღეთ თუნდ იგივე წ. კ. საზოგადოების გამგეობა რომელსაც ღღეისწორს შევეხეთ. როგორც „ცნ. ფ.“-ის № 1725-დან ბ. ლეხურელი გვატყობინებს, მას სრულიად დავიწყებია, რომ განსვენებული რაფიელ ერისთავის იუბილეიზე აღთქმა მიუცია მის სამშობლო სოფელში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისა. მერე იცით, რა მოთხოვნილებაა იმ სოფლებში წიგნის კითხვისა? იქაური მოზრდილი ქალები და ვაჟები პატარა ბავშვებს შეეცილენ დასარიგებელ წიგნებზე: „ყმაწვილო ჩვენც ვიცით ქართული კითხვა, მაგრამ გვავიწყდება, რადგანაც წიგნები არა გვაქვს და თქვენ სადღეგრძელოთ ე წიგნები ზოგი ჩვენც გვაჩუქე, შეკირდებს თავისი წიგნებიც ეყოფათ სასწავლებლათაო“. დიახ, ასეთ მდგომარეობაშია რაფიელის სოფლის მოზარდი თაობა, მაგრამ ჩვენი საზოგადოების გამგეობა ყურს არ იბერტყავს მათი ვის რასამე გასაკეთებლათ. რით უნდა ეხსნა ეს საჯარო დანაპირების აუსრულებლობა? ნუთუ მართლა გულმავიწყობით? თუ ერთი პატარა სამკითხველოს შესანახი თანხა არ მოეძებნება საზოგადოებას და ამისთვის გატეხა თავისი სიტყვა. ასეთი უსახსრობა არ გვჯერა, ხოლო საზოგადო საქმეში გულმავიწყობა დიდი დანაშაულობაა და არ ეპატიება არც ერთ რიგიან კრებულს. არ ეკადრებოდა ასე მოქცევა არც რაფიელის ხსოვნას, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, მკითხველო, ჩვენი გამგეობის გულმავიწყობა, ისიც რამდენიმე წლის საქმეში, რადგან მას გუშინდელი გადაწყვეტილებაც კი დაავიწყდა, მგონი, კავკავის სასწავლებელის შესახებ და იქ ხელკეტიანი მასწავლებელნი არხეინათ განაგრძობენ ბავშვების განათლებას თავისი „ჰუმანიური“ მეტოდით...

*
* *

მეტათ გულმავიწყია ჩვენი საბჭოს ხმოსნებიც. მათ მუდამ აეიწყდებათ, რომ ხმოსნის მოვალეობაა სხდომებზე სიარული. იმ ზომამდე ავიწყდებათ ეს, რომ ტელეფონით, ტელეგრამით, წერილით და კაცითაც კი ვერ მოაგონებენ ხოლმე. წინეთ იმით ხსნიდენ საბჭოს კრებების შეუდგენლობას, რომ მიღებული წესით ერთობ ბევრი ხმოსანი იყო საჭირო სხდომის კანონიერობისათვის. იშუამდგომლეს და 42-დან 27-ზე ჩამოიყვანეს ეს რიცხვი, მაგრამ ახლა 26 მეტი მაინც არ იკრიბება. ჩვენ „მამებზე“ ვერ იქონია გავლენა ვერც არჩევნების მოახლოებამ. ალბათ ძალიან მაგრათ გრძნობენ თავს ამ საპატიო და სასარგებლო ადგილზე! მათ ვერაფერი ვერ აშინებს, და ვერ იზიდავს ქალაქის საქმეებისაკენ. ეს ვერ შეძლო ვერც ახალმა გამგეობის წევრმა, ბ. ენფიანჯიანცმა, თუმცა თავიდან ძალიან ენერგიულათ მოკიდა ხელი „საქმეს“. ჩვენი აზრით თუ ვინმე უშველის აქ საქმეს, ისევ მასწავლებელი კურდღელაშვილი, რომელიც კავკავში უადგილოთ ხმარობდა თავის ძლიერებას. ფიზიკური შთაგონება უფრო ჩვენ ხმოსნებს ეჭირვებათ, რადგან სხვა ყველა ნაცადია და, ვიკით, რომ არაფერი შედეკი მოაქს

*
* *

«Нов. Об.»-ში წერენ: «ქუთაისში 25 იანვარს რკინის გზის ფერშალს ერთი მოსამსახურის ავათმყოფი შვილისათვის შეუნიშნავს დიფტერიტის ნიშნები და გამოუგზავნია თფილისის ლაზარეთში. თფილისის სადგურზე, როგორც ფერშალს უთქვამს, ავათმყოფს უნდა შეხვედროდა ექიმი წესისამებრ, მაგრამ აქ მხოლოთ ლაზარეთის მსახური დახვდა. ამ მსახურს ავათმყოფი ბავშვი წაუყვანინებია მამისათვის ლაზარეთში. აქაც ექიმის ნაცვლათ მხოლოთ ფერშალი დახვედრია, რომელსაც რაღაც წაუსვ-წამოუსვია ბავშვისთვის და ისევ სანიტარულ ვაგონში დაუბრუნებია. ვაგონი ჩვეულებისამებრ უვარგისი გამოდგარა თავისი დანიშნულებისათვის, ცივა წყლით და მოძველებული, სულთმობრძავი ბავშვით მამა ... ... 10 საათის შემდეგ მოეძებნა მშრალი ბინა. მოუძებნია, გადასულა კიდეც და, ნაშუადამევის ოთხ საათზე ბავშვი გამოსულმია წუთის სოფელს. საინტერესოა ვიცოდეთ, ...

სხვა-დასხვა ამბები.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა თფილისში იაფფასიანი სასადილოების და საჩაიების საზოგადოების წესდება.

თფილისიც ემზადება გოგოლის დღესასწაულისათვის, რომელიც გაიმართება მისი გარდაცვალების 50 წლის თავზე. ქალაქის საბჭოს დადგენილებით ალექსანდრეს ბაღში უნდა დაიდგას გოგოლის ბიუსტი და ერთ-ერთ სკოლას ეწოდება მისი სახელი. დღესასწაული გაიმართება მომავალ ხუთშაბათს (21 თებერვალს). ქალაქის სასწავლებლებში ამ დღეს სწავლა არ იქნება.

თფილისში აპირებენ მესამე საპატიმროს აშენებას. ამ კითხვის გამოსარკვევათ შემდგარია განსაკუთრებული კომისია.

მომავალ არჩევნებისთვის უკვე შეუდგენიათ ამომრჩეველთა სიები. 1, 2, 3 და 4 საპოლიციო განყოფილების მცხოვრებთაგან სიებში შეტანილია სულ 882 კაცი.

შინაგან საქმეთა საინისტროს განმარტა, რომ წოდებათა დაწესებულებანი, როდესაც გლეხი, მოქალაქე ან ხელოსანი მიმართავს პასპორტის გამოსაცვლელათ, არ უნდა თხოვდენ იმათ ძველი პასპორტების წარდგენას, რადგანაც, ფინანსთა სამინისტროსთან შემდგარი დროებითი კომისიის განმარტებით, ის პირნი, რომელთაც სურთ პასპორტი განაახლონ, არ არიან ვალდებულნი წარუდგინონ ძველი მოწმობები სათანადო წოდებრივ დადგენილებას, ხოლო უკანასკნელი, მიიღებს-რა თხოვნას მოწმობის გამოცვლის შესახებ, ახალ პასპორტს უგზავნის სათანადო პოლიციას მთხოვნელის ჩასაბარებლათ. პოლიცია კი ვალდებულია, ჩაბაროს ახალი პასპორტი და ძველი ჩამოართვას.

მწათ-მოქმედების სამინისტროს გადაუცია საფილოქსერო კომიტეტის განკარგულებაში 30,000 მან. ფილოქსერასთან საბრძოლველათ. კრედიტი იხსნება ნახევარი წლით. კრედიტის გახსნისთანავე შეუძლიათ ჯამაგირების მიღება საფილოქსერო პარტიების იმ წევრთ, რომელთაც აქამდე არ გასწორებიან (!).

---

10 თებერვალს ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ მიიწვია რამდენიმე პირი; მოლაპარაკება ქონდათ იმის შესახებ, თუ როგორ გადაიხადონ ვ. ა. აბაშიძის არტისტულ მოღვაწეობის 25 წლის დღესასწაული. განსახილველათ წარმოდგენილ იყო რამდენიმე საკითხი. გამგეობისა და მიწვეულ პირების შეერთებულმა სხდომამ საჭიროთ დანახა საიუბილეო დღეს, 10 მარტს, გამართოს წარმოდგენა ორჯელ: დილასა და საღამოს, რათა ამ გზით საშუალება მიეცეს ყველა მსურველთ—დაესწრონ და პატივი სცენ დამსახურებულ არტისტს. დილის წარმოდგენასთან გამართული იქნება საიუბილეო აქტი, რომლის დროსაც იუბილიარს მიულოცავენ დეპუტაციები. იუბილემდე უნდა გამოიცეს წიგნაკი, რომელშიაც აწერილი იქნება არტისტის ცხოვრება და მოღვაწეობა ქართული ხელოვნებისათვის. წიგნი დაიბეჭდება რამდენიმე ათასი ცალი და უფასოთ დაურიგდება ხალხს. საუბილეო აქტის დროს წაკითხულ იქნება აგრეთვე რეფერატი დრამატიულ ხელოვნების მნიშვნელობის შესახებ. შეერთებულმა სხდომამ აღნიშნა საზოგადო პროგრამა საიუბილეო დღესასწაულისა და გარდაწყვიტა მისი დაწვრილებით შესამუშავებლათ და საზოგადოების გამგეობასთან ერთათ იუბილეის გასამართავათ განსაკუთრებული კომიტეტის არჩევა, რომლის წევრებათ არჩეულ იქნენ: ბ-ნნი ბ. ყიფიანი, ვ. გუნია, ვ. ლორთქიფანიძე, ბ. ჯორჯაძე, ბ. სურგულაძე, ს. გოგოლაშვილი, ს. ფიროსმანაშვილი, ბ. ბოხუტალაშვილი, არდიშვილი, ი. სვანიძე, ჯმუხაძე, ხუროთმოძღვარი, ... ჩაჩიბაია და ქ-ნი რომანიშვილი.

თფილისის მცხოვრებლები დიდ გაჭირვებაში ჩაგდო ხორცის სიძვირემ და სიცოცხლემ. ამ საგანმა როგორც იქნა მიიქცია ქალაქის გამგეობის ყურადღება და ახლა გამგეობა თხოვს გუბერნატორს: 1) დროებით შეჩერებულ იქნეს მისი განკარგულების აღსრულება ბორჩალოს მაზრიდან დასაკლავი საქონლის მორეკვის შესახებ და 2) ხორცის ხარისხებათ დაყოფის საქმის მოწეს-რიგებამდინ ხორცის ნიხრს მოემატოს გირვანქაზე ერთი კაპეიკი (9 მაგიერ 10 კ.).

თფილისის უფასო სასადილოს ანგარიშიდან ჩანს, რომ 1901 წლის განმავლობაში შემოსავალი ქონია სასადილოს 6,486 მან. 63 კაპ. წინა წლების ყოფილა დარჩენილი 6,471 მან. 53 კაპ. სულ 12,258 მან. 16 კაპ. ხარჯი ქონია 7,449 მან. 91 კაპ. გასულ წლის განმავლობაში სულ 112,171 სადილი გაუციათ. ამათგან 106,900 უფასო და 5,271 ფასით.

---

10 თებერვალს მოხდა თფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების კრება. საზოგადოებას ამ ჟამათ ყავს სულ 260 წევრი. საზოგადოებას სესხი მიუცია ერთი წევრისათვის—50 მან. შემწეობა—190 მან. ავათმყოფი წევრისათვის—120 მან. ვერ მოქმედობს როგორც სასურველია საზოგადოების კასსა, რადგან მსესხებლები ვალს არ ისტუმრებენ. ამ საქმეში საზოგადოებას აქვს გაბანდული 1,000 მანათამდე, და მეტის გაცემას ვერ ახერხებს, თუმცა მოთხოვნილება დიდია.

საზოგადოების ოთახით უსარგებლნიათ 20 წევრს 2 დღიდან 5 თვემდე.

ვერ მიდის კარგათ ვერც მათი სამაგალითო სკოლის საქმე, თუმცა სკოლა, როგორც ვიცით, რიგიანათ არის დაყენებული. მოსწავლეების სიმცირისა და უსახსრობის გამო საზოგადოება იძულებული გამხდარა ადგილობრივი ენების განყოფილებები დაეხურა.

რიგიანათ და კარგათ არის მოწყობილი რეფერატების კითხვის საქმე. საანგარიშო წელს წაუკითხავთ 20 რეფერატი. საზოგადოებამ დაამტკიცა გასული წლის ანგარიში და მიიღო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა 1902 წლისა (შემოსავალი ნავარაუდევია 1,860 მან., გასავალი 1,780 მან.).

ბოლოს კრებამ აირჩია: საპატიო წევრებათ ა. მ. თუმანიშვილისა და კნ. ე. მ. ერისთავისა, და შემდეგ თანამდებობის პირნი.

მიწის-ძვრისაგან დაზარალებულ შემახელთა სასარგებლოთ შემოწირულება ბლ ...მათ გროვდება. ადგილობრივ რედაქციებში შეგროვილია 7,314 მან. ბაქოელ „კასპის“ რედაქციაში 17 ათასზე მეტი. სულ ჯერ-ჯერობით კერძო შემოწირულება 70 ათას აღემატება.

11 თებერვლის დეპეშა. ჯერ-ჯერობით კომიტეტმა სიაში თავ-თავს მოუყარა 2,561 ოჯახს, რომლებიც შედგებიან 14,301 სულისაგან; დახოცილებია 882: კაცები—43, დედაკაცები—330, ბავშვები—509; მათ შორის—31 სომეხია, დანარჩენი მაჰმადიანები. სიის შევსებას განაგრძობენ; კომიტეტს უჭირს ფული და კარვები; ხუთი ათასი სული გადასახლდა; ყინავს; მთავარ-მართებელმა დათვალიერა ქალაქი; აუარებელი ღარიბები და ობლები არიან. ნანგრევების თხრას გა-

ნაკრძობენ; მიწის რყევა შედგა; ბაღში გამარჯეს ბარაკი 70 ავათმყოფისათვის; კომიტეტი ძალიან მუშაობს.

დღეს, 17 თებერვალს, დაიწყება ქართული წარმოდგენები თფილისის სიფხიზლის საზოგადოების რკინის გზის თეატრში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია ფოთის საჯარო ბიბლიოთეკის წესდების პროექტი.

იმავე სამინისტროს ბ. ლავროვისათვის ნება მიუცია გამოცეს ქალაქ ბაქოში რუსული გაზეთი „ბაქო“ ვრცელი პროგრამით. ამით ბოლო ეღება ბაქოს ერთათ-ერთი გაზეთის „კასპის“ მონოპოლიას.

ბათომიდან წერენ „Нов. Об.“-ს, რომ იქაური მუშები დიდ გაჭირვებაში არიან ჩაცვივნული. ამის მიზეზათ ასახელებენ ერთი მხრით საზოგადოთ ნავთის გაზიდვის შემცირებას და მეორეთი—წოვიანოვის დიდი ზავოდის დახურვას.

ბაქოს სადგურის მოსამსახურეებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ მათთვის აგებულ იქნეს ცალკე შენობა წარმოდგენების და საღამოების გასამართავათ, სამკითხველოს და სხვათა მოსაწყობათ.

თებერვლის 7-დან 14-დე ქუთაისში სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე ავაზაკის ალ. ლორთქიფანიძისა და მისი ამხანაგ-მონაწილეთა შესახებ. ბრალი ედებოდა რვა კაცს: ალექსანდრე ლორთქიფანიძეს, ელიზბარ დუდუჩავას, ივანე აგიაშვილს, ვალერიან წულუკიძეს, რუსკანა წულუკიძისას, ალექსანდრე ლალიაშვილს, კვინტუსია სახურიასა და ილია წულუკიძეს. მათ ბრალდებოდათ ავაზაკური ბრბოს შედგენა და სხვა მრავალი დანაშაულის ჩადენა. მოწვეული იყო 90 მოწმე. საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს საქმის გარჩევას, თუმცა ასეთი ავაზაკების საქმე უცხო და ახალი არ არის ქუთაისის საზოგადოებისთვის..

სამხედრო სასამართლომ დაშნაშავეთ იცნო დუდუჩავა, ლორთქიფანიძე, აგიაშვილი, ლალიაშვილი და სახურია და გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა (ჩამოხრობა), ხოლო კნ. რუსკანა წულუკიძისა, ილია წულუკიძე და ვალერიან წულუკიძე გაამართლა.

მოგვივიდა; 1) რუსული ჟურნალი „Русское Богатство“, № 1; 2) „Кавказскій Вѣстникъ“, № 2; 3) „მოამბე“, № 1; 4) „მოგზაური“, № 2, დამატებით „გამოსადეგი ცნობანი“, წ. 2.

დაურიგდათ ხელის მოწერლებს „ჯეჯილი“, № II.

კორესპონდენციები.

ᲒᲣᲠᲘᲐ. მოგეხსენებათ, როგორი ოინდაოინობით მრავლდებ- დღეს განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, უმიწა-წყლო გლეხთა რიცხვი. დიდი-ხანი არ არის, რაც ასეთმა მოვლენამ იჩინა თავი და, რასაკვირველია, თანდათან განვითარებულა. ეს წორეთ ამან აიძულა ჩვენებური გლეხი, რომ თავისი საუფლო მიატოვოს და მოძებნოს რაიმე ქონებრივი სახსარი, იმ მრავალ-გვარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ, რომლებიც იმავე ახალი ცხოვრების ღვიძლი შეილია, რომელმაც ის გალატაკა. სოფლის ხუჭუჭოდან გამოძვრალი გლეხი, მიეშურება ქალაქისაკენ, რომ იქ თავი შეიფაროს რომელიმე ქარხნის ან ფაბრიკის კედლებში, ან სხვა რაიმე დღიურ სამუშაოს წაწყდეს და მით საშუალება იპოვოს ორიოდე გროშის საშოვნელათ. ქალაქის უცნობი და მისკენ მიმავალი სოფელი მრავალ-გვარი იმედებით ნაფიქრალი, მაგრამ იქაც ნიადრიბე და გაჭირვება ელოდებათ. ჩვენებურს მომუშავეთ, ნოვოროსიისკში, ოდესაში, ქერჩში, სუხუმში, მაგრამ უფრო კი ბათუმში და ფოთში. საზოგადოთ მუშა და შრომელი რომელ ქალაქშიაც უნდა მუშაობდეს გასაჭირსა და გამოუთქმელ სიდარიბეშია, მაგრამ ყველაზე უფრო ქ. ფოთში ეს ერთი ხანია. ნეტავი რამ გამოიწვია, რომ საბრალო ჩვენებურ მუშას, ყველა ქალაქზე უარესათ ქ. ფოთში ეცხოვრება, რომელიც ყველაზე უფრო დასამხარზეა. აი რამ: ფოთში გასულ-ვეთ მოიჯარადრე ბ. სიმონ ბერეჟიანი, აი ამ უკანასკნელ ჩვენ მიერ წარმოთქმულს სიტყვას დამტკიცება უნდა, და ჩვენც, სწორეთ ამის დამამტკიცებელ ფაქტზე გვინდა მივაქციოთ პატივცემული მკითხველის ყურადღება. გასული 1901 წლის იანვარში ბ. ს. ბერეჟიანს განუზრახავს, რომ ეფოლიებია წვრილი მოიჯარადრენი, რომლებისთვისაც უნდა გადაეცა გემებიდან მტარებლებში საქონლის გადმოზიდვის საქმე და ეოველი ათასი ფუთის გადატანაში ქირათ 1 მ. და 60 კ. ანუ თითო ფუთზე 0,16 კ. უნდა მიეცა. ამისათვის ის კიდეც შეკვრია პირობით ოთხ პირს: სიმონ და ალექსი სიხარულიძეებს, იულო ტინცაძეს და ირაკლი ჩხეკვაძეს. ამათგან მოუთხოვია ზალოგი ათასი მანათი. თუ პირობას არ შეუსრულებდენ ანუ მუშების საკმაო რიცხვს ვერ იყოლიებდენ, საქმეს რომელიმე გზით შეუფერხებდენ და თუ მათ ხელში საქონელი დაიკარგებოდა, ამ შემთხვევაში, ზალოგს გამოუკლებდა, რასაკვირველია, სამართლიანათ და საბუთიანათ. ამათ ათასი მანათის შოგნა ძალიერ გაუჭირდათ, მაგრამ როგორც იქნა ისესხეს და მიართვეს ბ. ბერეჟიანს, რასაკვირველია ამ იმედით, რომ ვადის გათავების შემდეგ ეს მათი ფულება უკანვე დაუბრუნდებოდათ და უსამართლოთ არავის წაგლეჯდა. დაუწყიათ მუშობა თებერვლის პირველ რიცხვიდან. როგორც პირობაში ეწერათ, ყოველი თვის დამლევს ანგარიში უნდა მიეღოთ. თებერვლის დამლევს ანგარიში მართლათ გაუწმენდია ბ. ბერეჟიანს; მარტის დამლევს კი ანგარიში არ მიუტანია, მაგრამ სამაგიეროთ მარტისა და აპრილის მიისის პირველ რიცხვებში მიუზღავს საკუთარი; მაისის, ივნისის და ივლისის შესახებ ფულებიდან ბ. ბერეჟიანს, შეიდასი მანათი გამოურიცხავს, იმ მიზეზით, რომ როგორც თვითონ უთქვამს: „რკინის გზაში, გადატანის დროს, საქონელია დაკარგული ამ სადირალისო“. მარიაზობისთვის და ენკენისთვის ფულებიდან, კიდევ ამავე მოსაზრებით, ხუთასი მანათი გამოუკლია ბ. ბერეჟიანს და თანვე კატეგორიულათ მოუსენებია ოთხივეესთვის: „გინდ იკვალთ გინდ არა, დღეის იქით ვერავითარ ფულებს ჩემგან ვერ მიიღებთ და თქვენი ზალოგი 1,000 მანათიც მე მეკუთვნისო“. ამნაირათ ბ. ბერეჟიანმა გამოისტუმრა ეს ოთხი პირი ისევ სოფლისაკენ ულუკმა-პუროთ. თან ორი ათას ასი მანათი წაართვა და მით სამუდამოთ მოვლეების ხელში ჩაგდო საწყალი გლეხები. უჩივლენ კიდეც ბ. ბერეჟიანს სასამართლოში. უკანასკნელათ მივმართავთ ბ. ბერეჟიანს და მოვახსენებთ, რომ „არაა საკადრისი, ასეთი მოქმედება ადამიანისთვის, რაგინდ მადა გახსნილი იყოთ“.

ბენ. ჩხიკვიშვილი.

ᲓᲐ. ᲮᲝᲚᲜᲘ. ხონის ბაზარში მახლობელი სოფლებიდან ბლომათ შემოაქვთ სოფლის ქალებს ბარაკეებით სხვა-და-სხვა შინაური ნაწარმოები, მაგალითათ: შალი, წინდები, ნაბდის ქუდები; სუფთათ ნაკეთები ქალების თავზე-მოსახვევები და სხვა...

ყველა ამათ ითვით ეიდულობენ ქუთაისიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ვაჭრები, რომელთა უმეტესობას ებრალები შეადგენენ.

სასურველია ამ გაუმაძღარ ვაჭრების საწინააღმდეგოთ რამე ზომები იქნეს მიიღებული, რომ მათ ასე მუქთათ არ ჩაიგდონ ხელში ბეჩავი სალხის ნაშრომი. ჩვენი აზრით, ასეთი მეტოქეობის გაწევას შეძლებს ამხანაგობა, რომლის დაარსება მეტათ სასურველი და საოგებლო იქნება.

ასეთი ამხანაგობა ორ-გვარ სარგებლობას მოიტანს: საქმის ამ-გვარი წარმოებით მასაც საგრძნობელი მოგება დარჩება და მოსულ ვაჭრებსაც აწევინებს ფასებს და ამით ბევრს მოიგებს თვით მწარ-მოებელი.

არა ნაკლებ მოგებული დარჩება მხმარებელიც, რომელიც ხში-რათ იძულებულია ჩარჩ-ბაცაცებისგან იყიდოს, როგორც სოფლის ხელ-ნასაქნარევი, ისე სანოვაგეც, რადგან დღეს ეს ჩარჩ-ბაცაცები გზაში უხვდებიან სოფლიდან მომავალ გლეხებს და ჩალის ფასათ ყიდულობენ ბატს, ქათამს, იხვს, კვერცხს და სხ..

სასურველია აგრეთვე ადგილობრივმა პოლიციამაც მიაქციოს ყუ-რადღება ამ ჩარჩ-ბაცაცების მოქმედებას.

ილია ბახტაძე.

რუსეთის ცხოვრება.

ირკუტსკის საგუბერნიო უწყებაში დაბეჭდილია სავალდებუ-ლო დადგენილებანი, გამოცემული ადგილობრივ გუბერნატორის მი-ერ. ამ დადგენილებაში სხვათა შორის ერთ-ერთი პუნქტით აღკრძა-ლათ ადგილობრივ მცხოვრებლებს შეწირულებათა შეკრება იმ პირე-ბის სასარგებლოთ, რომელნიც სამართალში არიან მიცემულნი საზო-გადო წესიერების დარღვევის გამო.

— პოლიციის განკარგულებით მოსკოვის მესამე ხარისხის ტრაქტირებში, ლუდხანებში და საჩაებში ნება დართულია იქონიონ მხოლოთ შემდეგი პერიოდული გამოცემანი: „მოსკოვის ვედომ.“, „ნოვოე ვრემია“, „მოსკოვ. ლისტოკი“ და პეტერბურგის გაზეთი „სვეტ“.

— გაზ. „კიევლიანინ“-ში დაბეჭდილია კიევის უნივერსიტე-ტის რექტორის შემდეგი განცხადება (განცხადება გაკრულია თვით უნივერსიტეტში): „კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარ-გულებით წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტში შეწყვეტილია სწავლა ახალ განკარგულებამდე და სტუდენტებს აღკრძალული აქვთ იარონ უნივერ-სიტეტში. საქმის გამო მოლაპარაკება უნივერსიტეტის მთავრობასთან შეიძლება მხოლოდ წერილობით ფოსტის საშვალებით. 5 თებერვალი 1902 წ.“

საზღვარ-გარეთ.

გერმანია. 27 იანვარს რეიხსტაგში საინტერესო ამბავი მო-ხდა: დეპუტატები ასამართლებდენ საზღვაო მინისტრს, ადმირალს ტირპიცს. ეს მინისტრი მეტათ ურიგოთ მოექცა პარლამენტს. თა-ვის პროექტში, რომელიც ფლოტის გადიდებას შეეხებოდა, ამ მი-ნისტრმა განგებ ცრუ ციფრები მოიყვანა, ე. ი., პარლამენტი მო-ატყუა. რადგანაც პროექტს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მთავრობას ეშინოდა, ვაი თუ პროექტი პარლამენტმა არ მიიღოსო. აი, ამიტომ ტირპიცმა ნამდვილი ხარჯი 30 მილიონით ნაკლები აღნიშნა. ამავე დროს მინისტრმა თავის მოხელეებს საიდუმლო ცირკულიარი დაუ-გზავნა და საქმის ნამდვილი ვითარება აუწყა. ცირკულიარი რაღაც მანქანებით ამ ერთი თვის წინეთ სოციალისტთა გაზეთის „Vor-wärts“-ის რედაქციას ჩაუვარდა ხელთ. რაღა ლაპარაკი უნდა, გა-ზეთმა მაშინვე გამოაქვეყნა ცირკულიარი. აი, ამ ცირკულიარმა ატე-ხა აურ-ზაური პარლამენტში. ოპოზიცია საყვედურს არ დაჯერდა, მან მოითხოვა საზღვაო მინისტრს პარლამენტის მოტყუებისათვის მინისტრობიდან გადადგომა.

ბებელმა თქვა: „ცირკულიარში თქვენვე აცხადებთ, რომ რე-იხსტაგს ცრუ ცნობები წარვუდგინეთ; ამასთან თქვენი უკანონო სა-ქციელის გასამართლებელი საბუთიც მოგყავთ: სიმართლე რომ მე-თქვა, პარლამენტი მიხვდებოდა, რომ ახალი გარდასახადის გაწერაა საჭირო, პროექტს განუხორციელებლათ ჩათვლიდა და უარ-ყოფდათ. მივმართავ ყველას, ვისაც კი ზრდილობა ფეხით არ გაუქელავს და ვკითხავ, რა არის ეს? ცხოვრებაში ამგვარ საქციელს მოტყუებას ეძახიან (დიდი მოძრაობაა) და ყოველი მთავრობა, რომელიც კი თა-ვის ღირსებას აფასებს, ერთს წუთსაც აღარ დააყენებდა მინისტრს, რომელმაც ასეთ უკადრის ხერხს მიმართა. ამ შემთხვევაში დასია [illegible] უთანხმოება მოსატანი არ არის: საქმე ელემენტარულ ეთიკის დარ-ღვევას შეეხება; ამის გასაგებათ კი საჭირო არ [illegible] გერმანული იდეალები, რომლითაც ბოლო დრო[illegible]. გამოქვეყნებული ცირკულიარი ნამდვილია და ადმირალი ტირპიცი ვერავითარი მოფიქრებით შავს თეთრათ ვერ გადააკეთებს. ყველგან სხვაგან მინისტრი მიხვდებოდა, რომ ასეთ უკადრის საქციელის გა-მოქვეყნების შემდეგ სამსახურიდან უნდა გადადგეს (გაცხარებული ტა-შის ცემა მარცხნით, პროტესტები მარჯვნით). რეიხსტაგს ათასი სიურპრიზი გამოუცდია, მაგრამ დღემდის ფლოტის თვით უკიდურეს მოწინააღმდეგეთაც კი ეგონათ, რომ საქმე პატიოსან მოწინააღმდე-გეებთანა აქვთ და არა ისეთ სოფისტებსა და კაცებთან, რომელთა თვალშიაც მიზანი ყოველ საშუალებას ამართლებს“.

აქ კი ვეღარ მოითმინა მინისტრმა და გადასძახა ბებელს: „თქვენ კი პატიოსან საშუალებას მიმართეთ? თქვენ ახლო დგა-ხართ, ბ-ნო ბებელ, „Vorwärts“-ის რედაქციასთან და თუ გსურთ, რომ თქვენი პატიოსნება დაგვიმტკიცოთ, დაგვისახელეთ ის საზი-ზღარი, რომელმაც ცირკულიარი მოიპარა და რედაქციას გადასცა!“ მინისტრს მხარი დაუჭირეს კონსერვატორებმა და ნაციონალ-ლიბე-რალებმა. განა, რა ცოდვა ჩაიდინა მინისტრმაო, გაიძახოდენ ყველა-ნი. პირ-იქით, ამ ბოლო დროს ისე გამრავლდენ ქურდ-ბაცაცები, რომ მინისტრს ერთ დამესაც არ შეუძლიან მშვიდობიანათ მოსვენე-ბა. მინისტრის მომხრეებმა ერთი სიტყვაც არ დახარჯეს ტირპიცის უკადრის საქციელზე, ყველანი სოციალისტთა გაზეთის რედაქციას და იმ კაცს კიცხავდენ, რომელმაც ცირკულიარი გადასცა მას. ამან გამოიწვია კამათში ევგენი რიხტერის ჩარევა, რომელმაც თქვა: „სწორეთ გასაოცარია, ადმირალი ტირპიცი და იმისი მომხრენი რო-გორ აფუჩეჩებენ მთავარ საგანს და წვრილმანებზე იწყებენ ლაპარაკს. საჭიროა ამ შემთხვევაში გამოირკვეს, მოსათმენია თუ არა მინი-სტრის-მიერ სიმართლის ასე ფეხით გაქელვა, ასე მოტყუება პარ-ლამენტისა, როგორც ტირპიცმა მოატყუა. ამის ნაცვლათ თქვენ წვრილმანებს გამოკიდებიხართ, გაზეთს ასამართლებთ, კიცხავთ ცირ-კულიარის წამღებს თითქო მინისტრის საქციელის დაფასებასთან ყო-ველსავე ამას რაიმე კავშირი ჰქონდეს. საქმე ეს კი არაა, არამედ ისაა, რომ მინისტრმა იცოდა რა ხარჯი დაჭირდება ფლოტს და განგებ 30 მილიონით შეამცირა ეს ხარჯი. რაც შეგვეხება ჩვენ, ამიერიდან ადმირალს, თუ კი იგი იკადრებს და კიდევ დარჩება მი-ნისტრათ, იმ ნდობით ვეღარ მოვექცევით, რა ნდობითაც მთავრო-ბის წევრთ ვექცევით. მე ერთ წუთსაც სხვა რიგათ არ მოვექცეოდი მინისტრს, თუნდაც რომ იგი ჩემი პოლიტიკური თანამოაზრე იყოს. დიდათ ცდებიან ისინი, ვისაც მინისტრის საქციელი უმნიშვნელო სა-ქმეთ მიაჩნია: აქ პოლიტიკურ პატიოსნებასა და პარლამენტის კან-ტროლზეა ლაპარაკი. ჩემ სიცოცხლეში ბევრ მინისტრთან მქონია საქმე, მაგრამ ტირპიცი პირველი მინისტრია, რომელსაც იძულებუ-ლი ვარ საჯაროთ პირში ვუთხრა, რომ ამიერიდან აღარც ერთი იმი-სი სიტყვა აღარა მჯერა“ (ამ სიტყვამ საოცარი აღტაცება და ტა-შის ცემა გამოიწვია მემარცხენეებში).

დასასრულ ბებელმა ილაპარაკა. მუშათა დასის წინამძღოლმა პა-სუხი გასცა ტირპიცს, რომელმაც მოითხოვა დამისახელეთ „ქურდიო“.

„თქვენი აღტაცება უადგილოა, თქვა ორატორმა. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ არც მე და არც რედაქციამ არ ვიცით, ვინ გამოგზავნა ცირკულიარი; მაგრამ თუნდაც რომ ვიცოდე, არ ვიტყო-დი მომტანის გვარს. რედაქციას არ უთხოვნია ცირკულიარის მოპარ-ვა. არც ერთი გროში არ გაგვიცია იმ საიდუმლო ქაღალდებში, რო-მელსაც ჩვენი გაზეთი აქვეყნებს. სენსაციისა და სკანდალისათვის კი არ გამოვაქვეყნეთ ქაღალდი, არამედ იმისთვის, რომ მას დიდი მნი-შვნელობა აქვს მთელის სახელმწიფოსათვის. თქვენ კი, ბ-ნო მინი-სტრო, აღელვება არ შეგშვენით. კარგათ უწყით, ადმირალო, რომ ჩვენ ჯაშუშები და პროვაკატორები არა გვყავს დაქირავებული, რო-გორც პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროს და არც საიდუმლო

ფონდები მოგვეხოვება ქურდებისა და მათი ხელის დამფარებელთა დაჯილდოებლათ. ასეთ საქმეების ჩვენში მთავრობის დაწესებულებანი მანდევენ. და თქვენ სრულიად არ შეგეფერეთ უმანკოებისა და საინოებების რიდის ოამაში".

საფრანგეთი. უკანასკნელ სხდომაზე პალატამ შეიწყნარა პროექტი შესახებ ქვა-ძანის ქარხნებში 8 საათის სამუშაო დღის შემოღებისა. მართალია ეს პროექტი სასრულეში იქნება მოყვანილი თანდათანობით სამი წლის განმავლობაში, მართალია ისიც, რომ მუშები იმუშავებენ რვა საათს და საერთოთ კი მაღარეებში რვა-სახეკარი საათი დარჩებიან, მაგრამ ესეც შესამჩნევი შემსუბუქებაა იმ აუტანელი შრომისა, რომელიც აქამდე აწვათ მათ კისერზე. დღემდე ისინი რჩებოდენ მაღარეებში $9^1/_2$ და ზოგან $10^1/_2$ საათისა. პალატის მიერ ამ პროექტის შეწყნარება საეურადღებოა იმ მხრითაც, რომ აქამდე მთავრობა ეხმარებოდა მხოლოთ მცირე-წლოვან მუშების და ქალების, ხოლო დანარჩენ მუშების მდგომარეობის განხილვაში არ შედიოდა. ამ დროიდან კი მთავრობამ საჭიროთ დაინახა ყოველთვის განიხილოს მუშათა მდგომარეობა განურჩევლათ მათის სქესისა და წლოვანებისა.

ევროპაზე საეურადღებო ის არის, რომ ამ ხუთის წლის წინეთ, რომ აღეძრათ ეს კითხვა დიდის თავგანმოდებით აღუდგებოდენ წინ მას მემარჯვენენი. ახლა კი მას წინააღმდეგ გამოვიდა ერთათ ერთი ორატორი ვინმე ეინარი. და მანაც ძალიერ სუსტი გაკვლენა იქონია თავისი სიტყვით პალატაზე. სამაგალითო მუშათა დეპუტატებმა ბებლიმ, ლამენდენმა და ბუვრმა (სამივე ქვა-ძანის მუშებათ იყვენ) საშინელი სურათი დაუხატეს პალატას ქვა-ძანის მაღარეებში მუშობის წესრიგისა. მათ დაუმტკიცეს მსმენელთ, რომ მუშობის ვადის შემცირება ბირიქით წინ წაწევს ქვა-ძანის წარმოებასო. დემოკრატიულმა პარტიამაც საჭიროთა სცნო მუშობის ვადის შემცირება, იმ მიზნით რომ შეუმცირდებათ რა მომუშავეთ სამუშაო დრო მათ მიეცემათ საშუალება თავისუფალი დრო მოახმარონ თვით-განვითარებას და გამოვიდენ იმ გონების სიბნელიდან, რომელშიაც ისინი დღეს იმყოფებიანო. რადიკალთა პარტიაც სრული თანახმა გახდა შემცირდეს სამუშაო დღე, და მოემატოს სამუშაო ქირა; ეს არის ერთი უსაჭიროესი მოთხოვნილება აწინდელი ცხოვრებისაო, თქვეს მათ.

ისპანია. ბარსელონაში მუშათა გაფიცვამ იფეთქა, გამოცხადდა საშინელი წესით ქალაქის დაცვა. თვით ქალაქში ჯარია ჩამდგარი. ხალხს ჯართან შეტაკება მოუხდა; რამდენიმე კაცი მოკლულ იქმნა; ბევრი დაიჭრა. სახლების კედლებს მორტყმული ტეკეები ემჩნევა. ხალხი თანდეთან. ღელდება, მდგომარეობა ძალიერ საშიშია. მაღაზიები დაკეტილია. გაზეთები ადარ გამოდის. ქვების უშენენ რკინის გზის მატარებლებს. გაფიცულთა რიცხვი 80 ათასამდეა.

შვეიცია და ნორვეგია. ამ ჟამთ შვეიცარიაში დიდ ეურადღებას იპყრობს ეგრეთ-წოდებული „ახალ-გაზდათა კავშირი". ეს ამხანაგობა განსაკუთრებით შედგება ახალგაზდა მუშებისაგან, რომლებიც ბირველათ გამოსულან სამუშაოთ და საკუთარი შრომით დუკმის მოსაპოვებლათ. ამხანაგობას მიზნათა აქვს თვის წევრებ შორის დამყარონ მტკიცე კავშირი. ამისათანა ამხანაგობა შესამჩნევათ ვრცელდება—არამც თუ ქალაქებში, არამედ სოფლებშიაც. „ცენტრალურ კავშირს შვეიცარიაში 1,500 წევრი ეკავ. ამათგან 600 სტოგოლმშია. ამ კავშირს აქვს თავისი საკუთარი გაზეთი, რომელიც 2,000 ეგზემპლიარი იბეჭდება.

ასეთივე „ახალგაზდათა კავშირი" შედგა ნორვეგიაშიაც. მათ „ცენტრალური კავშირი" ქრისტიანიაში აქვთ და აქედან განაგებენ ათს განყოფილებას სხვა-და-სხვა ქალაქებში და სოფლებში. თუმცა ეს ამხანაგობა ამ მოკლე ხანში დაარსდა, მაგრამ მან უკვე საკუთარი გაზეთიც გამოცა. გაზეთს სახელათ „მე-20-ე საუკუნე" ეწოდება. ამხანაგობის მიზანია გავრცელოს განათლება ახალ-გაზდა მუშებში.

შეერთებული შტატები. დეპუტატმა უელერმა პალატაში ცხარე სიტყვა წარმოთქვა. ამ სიტყვამ პალატა ერთიან აადელვა. ორატორმა ილაპარაკა იმის შესახებ თუ რა მიმართულებას დაადგა ამერიკა ამ ბოლო დროს გარეშე პოლიტიკაში.

1896 წელსო, თქვა მან, ეოველი ამერიკელი აღნიშნავდა ამერიკის განცალკევებით სელას გარეშე პოლიტიკაში; მაგრამ ამ ხუთი წლის წინეთ ჩვენმა პრეზიდენტმა სამეგობრო ხელი გაუწოდა ინგლისს და დღეს იერავს გულზე იმ ერს, რომლის მთავრობაც სისტემატიურათ ეწეოდა ინტრიგების ჩვენ წინააღმდეგ.

უელერმა მწარე საყვედური უთხრა ამერიკის მთავრობას იმის შესახებ, რომ ეს მთავრობა ფიქრობს ინგლისის მეფის დაგვირგვინების დროს გაგზავნოს მის წინ მუსლის მოსაღრეკათ და მის ხელზე სამოსვეველათ ამერიკის წარმომადგენელი. ნუ თუ ჩვენ უნდა მოვეხაროთ თავი იმ მეფის წინაშე, რომლის მთავრობაც ცდილობდა შეედგინა ჩვენ საწინააღმდეგოთ კოალიციაო! ამერიკის ბირდაბირმა პოლიტიკამ დღეს აგვილი დაუთმო ბირ-მოთნე ევროპიელ სახელმწიფოთა პოლიტიკასო.

ორატორმა გაიხსენა აგრეთვე ინგლის-ტრანსვაალის ომიც. ამერიკაო, თქვა მან, ხელს უწყობს ინგლისის სამარცხვინო ომს, რადგანაც ნებას აძლევს ინგლისს კაპიტანოს ამერიკიდან საომარი მასალა. მან გამოთქვა აგრეთვე მწუხარება იმის შესახებაც, რომ ახე აღფრთოვანებით და თავის დამდაბლებით უხვდებიან ბრანტ გენერალს. ამერიკამ, თქვა მან, სტუმარი მართალია პატივის-ცემით უნდა მიიღოს, მაგრამ მასთან მოხური თავის დამდაბლება კი სამარცხვინოა ჩვენთვისაო".

ტრანსვაალი. „რეიტერის სააგენტოს" ატყობინებენ: ბირველ თებერვალს ინგლისის რაზმი ასი კაცისაგან შემდგარი, ათვალიერებდა მდინარე კლიბის ნაპირებს. ესენი ეძებდენ იმ ბურებს, რომლებიც უნდა ჩამორჩენოდა დეკეტს, როცა ის ხელიდან დაუსხლტა მათ. რაზმმა შენიშნა ერთი ფერმა, სადაც მისი აზრით ბურები უნდა ყოფილიყვენ. შენიშნა აგრეთვე ერთი ბურიც ამ ფერმისაკენ მიმავალი. რაზმი აედევნა მას. რამდენიმე წამის შემდეგ ინგლისელებს სამი მხრიდან დაუშინეს ტეკია. აგვილი სრულებით დაუფარავი იყო და ინგლისელებს არ შეეძლოთ დამალვა. ბურებმა მან მოუკლეს ორი ოფიცერი, თორმეტი ჯარის კაცი და დაუჭრეს 48.

წერილი მიუნხენიდან.

მიუნხენის გასარეკ ადგილზე სიზოგადოთ და მუშათა კრებებზე კერძოთ. კარნეგალი მიუნხენში.—ბ-ნი ტირპიცი.

ვის არ მიიზიდავს მიუნხენი თავისი სიკეკლუცის გარდა იმ სხვა-და-სხვა ნაირ გასართობებით, რომელთა რიცხვი უთვალავია. რაც უნდა დროს ტარების მოტრფიალე იყო, მკითხველი, მიუნხენს ვერ დააყვედრებ მოწყენილობას. აქ ცხოვრება „დუღს და გადადუღს", როგორც ჩვენში იტყვიან. არ იფიქრო, რომ მიუნხენის გასართობები მარტო სიმრავლით იყვენ შესანიშნავი: აქ ყველაფერს ხელოვნების ბეჭედი აზის. ხელოვნება კი განვითარების უმაღლესს წერტილამდეა აყვანილი. ტყუილათ კი არ ითვლება მიუნხენი ხელოვნების ქალაქათ, თუმცაღა მეორე მხრით მას სამართლიანათ შეგვიძლია ვუწოდოთ ლუდის სამეფოს სატახტო ქალაქი. ხელოვნება აქ მეორე მხრითაც არის მეტათ განვითარებული; მას ბევრი არ უკლია მიაღწიოს თავის უმთავრეს მიზანს—შეიქნეს პოპულიარული, მაგ. თეატრები თავისი სიიაფით ყველასათვის ხელმისაწვდომია. პიესები ხომ საუკეთესო იდგმება. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ გერმანელი საზოგადოთ არ ეტანება სხვა ხალხის პიესებს. მას თავისი და თანამედროვე ცხოვრებიდან ამოღებული პიესები ბლომათ აქვს. მარა ამ კანონს არ ეკვემდებარება, როგორც საზოგადოთ, რუსეთის დიდებული მწერალი ლ. ტოლსტოი და მისი „ხიბნელის ძალიერება" იზიდავს აუარებელ ხალხს, მიუხედავათ იმისა, რომ ამ წარმოდგენაზე ფასები ჩვეულებრივზე ორჯელ მეტია. გარდა ამისა კვირაში ერთხელ თქვენ შეგიძლიათ დატკბეთ საუკეთესო კო-

მპოზიტორების მუსიკის მოსმენით ეგრეთ წოდებულ „სახალხო სიმფონიურ კონცერტებზე“ 30 ფენიგათ (14 კაპ.). სურათების გალლერეები ხომ უთვალავია. თქვენ შეგიძლიათ, როცა მოისურვებთ, დაათვალიეროთ და გაიცნოთ როგორც ძველი მხატვრობა და მისი თანდათანი განვითარება, ისე მისი უკანასკნელი სიტყვაც სრულიად უფასოთ. ლუდხანების და ყავახანების დასახელება, სადაც ძლიერ ხშირათ იმართება კონცერტი, წარმოდგენა ან საცეკვაო საღამო, ვფიქრობ, არ არის საჭირო. ამას დაუმატეთ აგრეთვე სპეციალური მუდმივი სახალხო თეატრი. არ იქნება უადგილო, რომ აქვე დავასახელო შესამჩნევათ მოწყობილი სახალხო უნივერსიტეტი, სადაც ლექტორებათ მიუნხენის საუკეთესო პროფესსორები ითვლებიან. გადავიდეთ ახლა მუშების კრებებზე. ისინი სახალხო უნივერსიტეტს არ ჩამოუვარდებიან. პირიქით, მუშის კრების მნიშვნელობა აღზრდის მხრით (воспитательное) განუსაზღვრელია. იგია საუკეთესო შკოლაა, სადაც ყოველი წევრი თავისუფალი მოქმედების წყალობით იცდება და უტყუარი იარაღით აღიჭურვება მტერთან საბრძოლველათ. ამგვარ კრებებზე ამდენხან უნდა მომელაპარაკნა მკითხველთან და თუ ეს არ ვქენი, ამის მიზეზი ის არის, რომ აქამდე იმათი თემა ერთათერთი საჭირ-ბოროტო კითხვა იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმათ წვრილმან შინაურ საქმეებს. მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში თავიანთ კრებებზე შემოტანილ პურზე ბაჟის აწევის კანონ-პროექტს უტრიალებდენ გარს და პროტესტზე პროტესტს უმატებდენ. იმათი რიცხვი იმოდენა შეიქნა, რომ იძულებული იყვენ რეიხსტაგში დროგით მიეტანათ იგინი. პროტესტებზე ხელს აწერდა ოთხ მილიონამდე კაცი. რა გავლენას იქონიებენ იგინი, ამას ახლო მომავალი დაგვანახებს. თუ რატომ ააღელვა ამ კანონ-პროექტმა გერმანიის უმრავლესობა, ამას დიდი განმარტება არ ჰქირდება; საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ის, რაც საზოგადოთ პირველი საჭიროების საგანს წარმოადგენს, აქ ისედაც მეტათ ძვირია. მაგალითათ, გირვანქა პური ღირს 8 კაპ. (16 ფენიგი), ხორცი (გირვანქა) 30 – 45 კაპ. (60 – 100 ფენ.) (აქაური გირვანქა ჩვენებურზე მეტია $^1/_4$) მოვიყვან რამდენიმე ციფრს ხორცის შესახებ.

დაკლული საქონლის საერთო რიცხვი (მიუნხენში)

1900 წ. უდრის 592,893 თავს

1901 წ. კი — 576,138 —

მიუხედავათ იმისა, რომ მცხოვრებთა რიცხვმა იმატა, ამბობს აქაური გაზეთი, დაკლული საქონლის რიცხვმა იკლო 16,755. აღსანიშნავია აქ ის გარემოება, რომ 1901 წელში იკლო იმ საქონლის კვლამ, რომელიც უფრო ძვირია, მაგ. ხარი, ღორი და იმატა იმან, რომელიც უფრო იაფია — ცხვარი, ხბო. აი ციფრებიც:

	1900 წ.	1901 წ.	
ხარები დაუკლათ . . .	31,659	30,566	— 1,093
ღორები	236,939	213,323	— 23,616
თხები და ცხვრები . .	36,115	37,820	+ 1,714
ცხენები	1,753	2,055	+ 302

დაკლულ ცხენთა რიცხვს უმატია ამ წელიწადში 302.

ზემოთ მოყვანილიდან მკითხველი აშკარათ დაინახავს, რომ პროტესტი ბაჟის აწევის წინააღმდეგ მეტათ სამართლიანია. ამგვარი კრებები და პროტესტები ჯერაც არ დამთავრებულა; ცალ-ცალკე აღებული იგინი იმდენათ საინტერესო არ იყვენ, რომ მკითხველის ყურადღება შემეჩერებინა. მათი ერთათ შეგროვება უნაკლულოთ შესაძლებელი იყო იმ დროს და იქ, როდესაც და სადაც წამოყენებული კანონ-პროექტის ბედ-იღბალი უნდა გადაწყვეტილიყო სამუდამოთ. და ეს მოვალეობა შესამჩნევათ შეასრულა ბებელმა. მისი საუცხოვო სიტყვა წარსული წლის „კვალის“ № 50 იყო მოყვანილი თითქმის სრულათ („საზღვარ-გარეთის“ განყოფილებაში. მკითხველს მოვაგონებ მხოლოდ ბებელის დამუქრებას ერთ-ერთ შემდეგ სხდომაზე რეიხსტაგში: ჩვენ, სანამ კანონ-პროექტს კენჭს ვუყრიდეთ, ობსტრუქციას შივმართავთო. ობსტრუქცია კი მდგომარეობს შემდეგში: პარლამენტარული წყობილება, ორატორს ნებას აძლევს ილაპარაკოს, რამდენიც უნდა. სოციალ-დემოკრატიას რეიხსტაგში ყველა პარტიებზე მეტი და საუკეთესო ორატორები ყავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თავისუფალ მოაზრეთა დეპუტატს ევგ. რიხტერს, რომელიც არც ერთ ორატორს არ ჩამოუვარდება რეიხსტაგში და ისიც ამგვარ კითხვებში სოციალ-დემოკრატიასთან ერთათ ებრძვის მთავრობას. ცენტრი წარმოდგენილია კლერიკალების და აგრარიებისაგან; ესენი უმეტეს ნაწილათ სოფლებიდან ჩამოსული ხალხია, სოფლელების დეპუტატებია. როგორც საზოგადოთ, სოფელი თავისი განათლება-განვითარებით აქაც ძრიელ დაბლა დგას; მას არა ყავს ინტელიგენტი და ამის გამო დეპუტატების არჩევის დროს ის ნება-უნებლიეთ იძულებულია მიუთითოს სამღვდელო პირზე ან და მემამულეზე..

აი სოციალ-დემოკრატები სარგებლობენ ამათი მოუთმენლობით და კენჭის ყრის წინ ლაპარაკობენ უსაზღვროთ. კლერიკალებისთვის ეს ვერაფერი გამართობელია. ის იწყებს მთქნარებას, და ბოლოს „თავიც გიტეხიათო“ გაივლებს გუნებაში, ტოვებს რეიხსტაგს და მიეშურება თავის ამომრჩევლებთან-სოფლელებთან, რომ განაგრძოს დროებით შეწყვეტილი იმათი „განათლება“ და იმათი ინტერესებისთვის „ბრძოლა“. სოციალ-დემოკრატები უცდიან იმ დროს, როდესაც რეიხსტაგში დარჩენილთა უმრავლესობა იმათ მხარეს ეკუთვნის; ეს მომენტიც დგება, უყრიან კენჭს და სოციალ-დემოკრატები იმარჯვებენ. ეს ხერხი — ობსტრუქცია — უნდა ჩაითვალოს გამარჯვების უტყუარ საშუალებათ

როდესაც ამ წერილს ჩავუჯექი, აზრათაც არ მქონია გერმანიას შევხებოდი, თუმცაღა გერმანიიდან ვწერ. მე მინდოდა მომელაპარაკნა მკითხველთან პატარა, მაგრა ყოველის მხრით შემკულ შვეიცარიის ამბებზე. ეს ჩემი განზრახულება უკან არ მიმაქვს და ვფიქრობ, მკითხველო, არც შენ მისაყვედურები ამაზე, რადგანაც სხვა-და-სხვა ამბები უფრო საინტერესოა და ნაკლებათაც დაგღალავს. მაშ შემდეგ წერილამდე.

პ. კ—ნი

გაზაფხული.

გაზაფხული მოახლოვდა,
ველოდები სიხარულით, —
ის არს ჩემი საოცნებო,
იმას შევტრფი სულით, გულით.

მხოლოთ იმას შეუძლია
დამატკბოს და გამახაროს,
ზამთრისაგან გაყინული
გული ამოკოს, ანეტაროს!

გაზაფხული მისთვის მიყვარს,
რომ აცოცხლებს მთლად ბუნებას,
ტყეს და მინდვრებს აამწვანებს,
ქვეყნათ მოფენს სურნელებას

ხალხის გულში ააჟღერებს
ხმაზე წყობით ჩანგის სიმებს
გადაფერავს ცხოვრების გზას
აგვამღერებს, მოგვალხინებს!

მით მეც მძინარს, გამაფხიზლებს;
დამატკბობი გაზაფხული;
მინდვრათ გავალ იას მოკრეფ,
შვებას იგრძნობს წყლული გული.

მდინარის პირს ჩამოვჯდები,
მჩქეფარ ზვირთებს ვუწყებ ცქერას—
და წყლის ტალღებს შევუერთებ
ჩემი გულის ტანჯულ ძგერას.

დარია ხუნდაძისა.

სამწუხარო შედეგი

(ისტორიული რომანი 1841 წლის გურიის ცხოვრებიდან)

ეგ. ნინოშვილისა.

(გაგრძელება.—იხ. № 7).

IV.

ვინ იყო გიორგი, რომელიც პირველ და მესამე თავებში ამ რომანისა რამდენიმე ადგილას შეკვეთდა? ახლავე, ბატონო მკითხველო, მოგახსენებთ ამ პირის,—გიორგის ვინაობას.

თავადი №№ თავის სოფელს ,...ში, ისეთივე პატივ-საცემი დიდი ვინმე იყო, როგორიც სხვა იმ დროინდელი თავადები თავიანთ საყმო სოფლებში. როგორც სხვა თავადებს, ისე №№-საც ყავდა: მოურავები, ბიჭები, გოგო-მოახლეები, მზარეული, მეჯინიბე, კურძალი და სხვა მოსამსახურენი. როგორც სხვა თავადების, ისე მის სასახლეშიც იდგენ, საფარეშო, სამზარეულო, სამეღვინო, საჯინიბო და სხვა წვრილმანი ფიცრული შენობები და თვითონ თავადის ოჯახეულობისთვის— ერთი გვარიანი მოზრდილი ხუთ-ოთახიანი ფიცრის სახლი. თვითონ თავადი №№ და მისი მეუღლე ძლიერ პატიოსან და ღვთიულ ბატონათ მიაჩნდენ იმათ გოგო-ბიჭებს და ამბობდენ იმათზე: — „იმათი ჭირი მის გოგო-ბიჭებს, რა ღვთიულები არიან! სხვა მებატონეებს რომ ვხედავთ, აგინი იმათთან ნამდვილი ანგელოზიაო“. მაგრამ რაც უნდა ეთქვათ გოგო-ბიჭებს მათზე, თავადი №№ და მისი მეუღლე მაინც, ბატონები იყვენ და გოგო-ბიჭები იმათი მონა. იმ დროს, როცა სხვა „უღვთო მებატონეს“ „მამა-ძაღლო“-ს შეგინება ესაჭიროებოდა, რომ თავის გოგო-ბიჭები ემსახურებინა, თავადი №№ და მისი მეუღლე ნელ-ტკბილობით ახერხებდა ამას. ეს იმას ნიშნავს, რომ ალი ხოჯა და ხოჯა ალი ერთი და იგივეა, ესე იგი „ღვთიული ბატონებიც“ და „უღვთო ბატონები“-ც ორივე რკინის უღელათ აწვა გლეხ-კაცობას კისერზე და ყვლეფდა მას შეუბრალებელათ. როგორც სხვა თავადების სასახლეში, ისე თავადი №№-ის სასახლეში გოგოები იძულებულნი იყვენ მთელი თავისი სიცოცხლე უქმროთ გაეტარებიათ. ეს უქმრო ქალები ძლიერ შიშს ქვეშ ყავდა ქალ-ბატონს— „ბოზობა“ არ ქნათ, კაცი არ შეგეხოთო, მაგრამ, რაც უნდა ყოფილიყო, როგორც სისხლ-ხორციანი არსებანი, მაინც ვერ იმაგრებდენ თავს და ამრავლებდენ იმ ადამიანთა დასს, რომლებსაც კანონთ მწერალმა ისე უმართლოთ მიაკერა სახელი „უკანონო შვილი“. ზოგნი ამ „უკანონო“ და უპატრონო შვილებში, თუმცაღა თვითონ „ღვთიული მებატონის“ წყალობით შექნილნი იყვენ, მაგრამ გაყიდვა-გამზითვება-გაჩუქებას მაინც ვერ გადარჩენოდენ, რადგანაც იმ დროს ეგეთი მოქმედება არ ითვლებოდა უღვთო მოქმედებათ. ზოგს ამ „უკანონო შვილთაგანს“ ჯერ ძუძუს წოვაც არ ქონდა გათავებული, რომ „ღვთიული მებატონე“ მიათრევდა გასაყიდათ. მხოლოთ ერთი „უკანონო შვილთაგანი“, რომელსაც გოგის ეძახდენ, მეტათ შესანიშნავი საღი შეხედულების გამოდგა და ამიტომ თავადი №№ და მისი მეუღლე ვერ იმეტებდნენ მას გასაყიდათ. გოგის დანახვაზე თავადს №№ და მის მეუღლეს ხშირათ მოსდიოდათ ამგვარი ლაპარაკი.

— ჩემს გოგის წერა-კითხვა ვასტავლოთ და კაი მოურავი გამოდგება. ეტყობა, რომ იგი ყაზახის შვილია, ყოველიფერი თავადის შვილის აქ.

— შენი შვილი იქნება; მეტი ვილაის:

— ჩემი? არ ვიცი, არ მახსოვს.

— ეჰე, არ ახსოვს! მე რას მიმალავ? თურმე არცეთი გოგო არ დაგიტოვია, რომ... მართლაც, რა რომ გოგი წამოიზარდა, თავადი №№-ის მეუღლემ, თავისი ქმრის თხოვნით, ასწავლა მას ქართული წერა-კითხვა. შემდეგ თავადმა №№-მა გოგი მიაბარა ვიღაც ვაჭარ ბერძენს, რომელთანაც სამი-ოთხი წლის განმავლობაში გოგიმ გვარიანათ შეისწავლა თათრული, ბერძნული ენები და ანგარიში. თავადმა №№-მა, რა დაინახა, ჩემმა ბიჭმა უცხო ენები იცისო, მოაშორა ბერძენს, წაიყვანა თავის სასახლეში და დაიჭირა ის მასწავლებლის ალაგას თავისი ორი ვაჟის და ერთი ქალისთვის, რომლებს გოგი ამ დროდან ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას, ანგარიშს, თათრულს და ბერძნულს სიტყვებს. თვითონ გოგი კი თავისი სურვილით შეუდგა ხუცური ასოების შესწავლას და ცოტა ხნის განმავლობაში ისე შეისწავლა, რომ გვარიანი კარგათ კითხულობდა საღვთო წერილებს. არ გასულა ამის შემდეგ ერთი წელი, რომ თავადი №№-ის სასახლეში მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც სულ სხვაგვარათ შეცვალა გოგის მდგომარეობა. აი რა შემთხვევა იყო ეს: თავად №№-ს თანისთან მოუკვდა ყელის ტკივილით თავისი ორი ვაჟი და ეს ხანში შესული თავადი და იმისი ესევე დროული მეუღლე დარჩენ შემაყურადენი ერთათერთი ექვსი წლის ქალისა, რომელს პატარაობის სახელათ „გულო“-ს ეძახდენ, და რომელიც ძლივს მოარჩინეს სიკვდილს სხვაგან გადახიზვნით. მაგრამ ერთი ქალი როგორ შეიძლებდა მოვლა და პატრონობას იმდენი ყმა და მამულისა, რამდენის პატრონიც იყო თავადი №№? მერე კიდევ მინამ ეს ქალი სრულ-წლოვანი შეიქნებოდა, თავადი №№ და მისი მეუღლე ძლიერ მოხუცდებოდენ. მეტი გზა აღარ იყო, თავად №№-ს და მის მეუღლეს უნდა ეშვილებიათ „უკანონო შვილი“ გოგი. ეს უკვე განიზრახეს თავადმა №№-მა და მისმა მეუღლემ, მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანასაც ედო წინ ერთი დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი: თავად №№-ს ყავდა ახლო ნათესავები, რომლებიც კანონიერი გზით იქნებოდა, თუ არა კანონიერის, არ დაანებებდენ, რომ თავადს №№-ს „უკანონო შვილი“ გოგი მათ მოძმეთ გაეხადა. ამ შიშის მიხედვით თავადი №№-ი და მისი მეუღლე ჯერ ვერ ბედავდენ, რომ გოგი გამოცხადებულათ თავის მემკვიდრეთ აღეარებინათ, თუმცაღა კი საიდუმლოთ სთკლიდენ მას.

ერთ დღეს თავად №№-ს ესტუმრა ერთი გვარიანი ნასწავლი რუსის აფიცერი (თავადი №№ ხშირათ პატიობდა თავის სახლში მოხელე და ნასწავლ კაცებს და ცდილობდა იმათთან დაახლოვებას). როგორც საზოგადოთ რუსის აფიცრები, ეს აფიცერიც, თითქო დიდი ხნის ნაცნობიაო, ისე თამამათ და შინა კაცათ მოიქცა თავადი №№-ის ოჯახში; ის გაუმასლაათდა თავადს №№-ს და მის მეუღლეს, ათას რამეებს უამბობდა და ათას რამეებზე ეკითხებოდა იმათ იმ დამტვრეული ქართულით, რომელიც ამ აფიცერს სადღაც შეესწავლა. უკანასკნელ, აფიცერმა ნახა გოგი და სხვათა შორის უთხრა თავადს №№-ს და მის მეუღლეს:

— ბედნიერი ხართ, რომ ასეთი საღი ვაჟი გყოლიათ! ძალიან კარგი გეჭირთ ეგ ქართველ თავადებს, რომ ხშირათ გამოდის თქვენში შესანიშნავი შნოიანი კაცი. მაგრამ ამ თქვენი ვაჟასთანა მე იშვიათათ მინახავს.

ამ სიტყვებმა თავადს №№-ს მიცეს შემთხვევა და მოაფიქრებინეს, რომ თავისი სტუმრისთვის ეთქვა გოგის დაბადების გარემოება და გამოეკითხა, თუ რა გზით შეიძლებოდა, რომ

— ჩემს გოგის წერა-კითხვა ვასტავლოთ და კაი მოურავი გამოდგება. ეტყობა, რომ იგი ყაზახის შვილია, ყოველიფერი თავადის შვილის აქ.

— შენი შვილი იქნება; მეტი ვილაის:

— ჩემი? არ ვიცი, არ მახსოვს.

— ეჰე, არ ახსოვს! მე რას მიმალავ? თურმე არცეთი გოგო არ დაგიტოვია, რომ... მართლაც, რა რომ გოგი წამოიზარდა, თავადი №№-ის მეუღლემ, თავისი ქმრის თხოვნით, ასწავლა მას ქართული წერა-კითხვა. შემდეგ თავადმა №№-მა გოგი მიაბარა ვიღაც ვაჭარ ბერძენს, რომელთანაც სამი-ოთხი წლის განმავლობაში გოგიმ გვარიანათ შეისწავლა თათრული, ბერძნული ენები და ანგარიში. თავადმა №№-მა, რა დაინახა, ჩემმა ბიჭმა უცხო ენები იცისო, მოაშორა ბერძენს, წაიყვანა თავის სასახლეში და დაიჭირა ის მასწავლებლის ალაგას თავისი ორი ვაჟის და ერთი ქალისთვის, რომლებს გოგი ამ დროდან ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას, ანგარიშს, თათრულს და ბერძნულს სიტყვებს. თვითონ გოგი კი თავისი სურვილით შეუდგა ხუცური ასოების შესწავლას და ცოტა ხნის განმავლობაში ისე შეისწავლა, რომ გვარიანი კარგათ კითხულობდა საღვთო წერილებს. არ გასულა ამის შემდეგ ერთი წელი, რომ თავადი №№-ის სასახლეში მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც სულ სხვაგვარათ შეცვალა გოგის მდგომარეობა. აი რა შემთხვევა იყო ეს: თავად №№-ს თანისთან მოუკვდა ყელის ტკივილით თავისი ორი ვაჟი და ეს ხანში შესული თავადი და იმისი ესევე დროული მეუღლე დარჩენ შემაყურადენი ერთათერთი ექვსი წლის ქალისა, რომელს პატარაობის სახელათ „გულო“-ს ეძახდენ, და რომელიც ძლივს მოარჩინეს სიკვდილს სხვაგან გადახიზვნით. მაგრამ ერთი ქალი როგორ შეიძლებდა მოვლა და პატრონობას იმდენი ყმა და მამულისა, რამდენის პატრონიც იყო თავადი №№? მერე კიდევ მინამ ეს ქალი სრულ-წლოვანი შეიქნებოდა, თავადი №№ და მისი მეუღლე ძლიერ მოხუცდებოდენ. მეტი გზა აღარ იყო, თავად №№-ს და მის მეუღლეს უნდა ეშვილებიათ „უკანონო შვილი“ გოგი. ეს უკვე განიზრახეს თავადმა №№-მა და მისმა მეუღლემ, მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანასაც ედო წინ ერთი დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი: თავად №№-ს ყავდა ახლო ნათესავები, რომლებიც კანონიერი გზით იქნებოდა, თუ არა კანონიერის, არ დაანებებდენ, რომ თავადს №№-ს „უკანონო შვილი“ გოგი მათ მოძმეთ გაეხადა. ამ შიშის მიხედვით თავადი №№-ი და მისი მეუღლე ჯერ ვერ ბედავდენ, რომ გოგი გამოცხადებულათ თავის მემკვიდრეთ აღეარებინათ, თუმცაღა კი საიდუმლოთ სთკლიდენ მას.

ერთ დღეს თავად №№-ს ესტუმრა ერთი გვარიანი ნასწავლი რუსის აფიცერი (თავადი №№ ხშირათ პატიობდა თავის სახლში მოხელე და ნასწავლ კაცებს და ცდილობდა იმათთან დაახლოვებას). როგორც საზოგადოთ რუსის აფიცრები, ეს აფიცერიც, თითქო დიდი ხნის ნაცნობიაო, ისე თამამათ და შინა კაცათ მოიქცა თავადი №№-ის ოჯახში; ის გაუმასლაათდა თავადს №№-ს და მის მეუღლეს, ათას რამეებს უამბობდა და ათას რამეებზე ეკითხებოდა იმათ იმ დამტვრეული ქართულით, რომელიც ამ აფიცერს სადღაც შეესწავლა. უკანასკნელ, აფიცერმა ნახა გოგი და სხვათა შორის უთხრა თავადს №№-ს და მის მეუღლეს:

— ბედნიერი ხართ, რომ ასეთი საღი ვაჟი გყოლიათ! ძალიან კარგი გეჭირთ ეგ ქართველ თავადებს, რომ ხშირათ გამოდის თქვენში შესანიშნავი შნოიანი კაცი. მაგრამ ამ თქვენი ვაჟასთანა მე იშვიათათ მინახავს.

ამ სიტყვებმა თავადს №№-ს მიცეს შემთხვევა და მოაფიქრებინეს, რომ თავისი სტუმრისთვის ეთქვა გოგის დაბადების გარემოება და გამოეკითხა, თუ რა გზით შეიძლებოდა, რომ

გოგი თავად №№-ის მემკვიდრეთ გამხთარიყო.

— თუ ამ ბავშის სიკეთე გინდა, სკოლაში აღზარდე, შემდეგ სამსახურში შევა და ვეღარავინ გაუბედავს შენს მემკვიდრეობაზე უარი უყოს.

— ურჩია თავად №№-ს აფიცერმა, რა რომ გოგის დაბადების ისტორია მოისმინა.

— სად, როგორ?

დაეკითხა თავადი №№, რადგანაც მოეწონა ეს რჩევა.

— აი თფილისში. მე ამ ცოტა ხანში უნდა წავიდე იქ და თუ გნებავს, წავიყვან თქვენ ბავშსაც და მივცემ იქ სკოლაში.

— ძალიან მადლობელი ვიქნებით. რა დღეს წაბრძანდებით?

აფიცერმა დაუნიშნა დრო. თავადი №№-ი იმ დროისთვის მოემზადა ისე, როგორც ეს ურჩია მისმა ნაცნობმა აფიცერმა, ესე იგი გამოართვა ღვდელს მეტრიკული მოწმობა, რომ გოგი ანუ გიორგი ნამდვილი თავადი №№-ის შვილია (ღვდელი ფულის გულისთვის დასთანხმდა ამ გვარი ყალბი მოწმობის გაცემაზე), შეუკერა გოგის ტანსაცმელი, მოუმზადა ფული და დანიშნულ დროზე წაიყვანა თავის მეგობარ აფიცერთან, რომელმაც გოგი მართლადაც წაიყვანა თფილისში და მისცა სკოლაში. თუმცალა ვარსკვლავისა (ვარსკვლავისა ერქვა გიორგის მშობელ გოგოს) ძლიერ ტიროდა და ჩიოდა: „თვალით თუ ვეღარ ვნახავ, რათ მინდა ჩისი სტავლა, ჩემი გოგი აქანაი ყოფილიყო სხვა ბიჭებსავით და მისი მზერით გავმძღარიყავი, იგი მერჩია»-ო, მაგრამ გოგოს წუწუნ-ტირილს და წინააღმდეგობას ბატონის წინაშე, აბა, რა ძალა ექნებოდა, მეტადრე მაშინ, როცა ბატონი ამ გოგოს შვილის ბედნიერებაზე ზრუნავდა? «გაარუსებენ შენ შვილს, შტო ტი—გეტყვის, რომ გნახავს»-ო, იგდებდენ მასხარათ საწყალ ვარსკვლავისას ბატონებიც და გოგო-ბიჭებიც.

(შემდეგი იქნება)

გერმანიის სინდიკატები.

ჟაულ უმბრეიტისა.

წარსული საუკუნის 10 უკანასკნელ წლებში გერმანიის სინდიკალურმა მოძრაობამ, მისუსტების მოკლე პერიოდის შემდეგ, ისე მძლავრათ გაშალა ფრთები, რომ თვით ვადამეტებული ოპტიმისტებიც ვერ წარმოიდგენდენ ამგვარ რასმე. ეკონომიურმა კრიზისმა, რომელიც დაჟინებით მძვინვარებდა, ძლიერ შეამცირა სინდიკატებათ შემდგართა რიცხვი; მრეწველობათა თანდათან გაძლიერებული კონცენტრაცია ადამიანს იძულებულს ხდიდა, რომ ეწინასწარმეტყველებინა სინდიკატთა დაუყონებლივი გაქრობა. მომავალი ბევრს ბუნდოვანათ ეჩვენებოდა. მაგრამ ექიმებიც ხშირათ წინასწარმეტყველობენ იმ სნეულთა გარდაცვალებაზე, რომელთაც ძლიერ მალე უბრუნდებათ სავსე სიცოცხლე. სინდიკალურმა მოძრაობამ გერმანიაში ძლევამოსილმა გაიარა კრიზისი: ამას მოწმობს ამ ოთხი უკანასკნელი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატისტიკა.

I.

გერმანიის სინდიკატთა საყოველთაო კომმისსიის (La commission générale) Correspondenz-Blatt-ი (№ 3) გვაძლევს ციფრებს შესახებ სინდიკატთა განვითარებისა 1900 წლის განმავლობაში. ჩვენ შეგვიძლია სრულიად კმაყოფილი ვიყოთ ამ ციფრებით. ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში (1900) სინდიკატთა განვითარება არა მარტო მითი გამოიხატა, რომ მათ წევრთა რიცხვმა 100,000-ს გადააჭარბა, არამედ მითიც, რომ მათ მოემატათ ფინანსიური ძალაც.

მაშინ, როდესაც 1899 წელში 55 ცენტრალურ ორგანიზაციაში, რომლებიც დამყარებულ არიან თანამედროვე მუშათა მოძრაობაზე, იყო 580,473 წევრი, 1900 წლის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე არსებულ 58 ორგანიზაციაში არის 680,427 წევრი. 1893 წლიდან (მაშინ სინდიკატებათ შემდგარ მუშათა რიცხვი დავიდა 223,530 წევრზე), რომელიც ყველაზე უფრო ცუდი იყო სინდიკატებისათვის, წევრთა რიცხვის ციფრი გაიზარდა სამჯერ. პირველი ცხრილი გვაჩვენებს სინდიკატთა განვითარებას 1891 წლიდან, როდესაც პირველათ იყო შედგენილი რეგულიარული სტატისტიკა.

(ცხრილი პირველი).

წლები.	ცენტრ. ორგ.	წევრთა საერთო რიცხვი	სინდიკატებ. მყოფ ქალთა რიცხვ.	ადგილობრ. ორგანიზაც.	ჯამი	მანძილ მყოფ ორგანიზ. დაკარგ.
1891	62	277.659	—	10.000	287.659	13.000
1892	56	237.094	4.355	7.640	244.734	29.700
1893	51	223.530	5.384	6.280	229.810	26.526
1894	54	236.494	5.251	5.550	252.044	194
1895	53	259.175	6.617	10.781	269.956	11.801
1896	51	329.230	15.265	5.858	335.086	—
1897	56	412.359	14.644	6.803	419.162	—
1898	57	493.742	13.481	17.500	511.242	—
1899	55	580.472	19.280	15.946	596.419	—
1900	58	680.427	22.844	9.860	690.287	—

ეს ციფრები კარგათ ამტკიცებენ, რაცა ვთქვით: 1893 წლამდის სინდიკატების წევრთა რიცხვი კლებულობდა, მას შემდეგ კი მატულობს. 1900 წელს მას მოემატა 69,954, ე. ი. 17,21%. ორგანიზაციათა რიცხვმა იმატა 3-ით: დიდი ხანი არ არის, რაც სინდიკატებს შეუერთდა მეტყავეთა ორგანიზაცია, აგრეთვე ორგანიზაცია ყასაბთა და მემასსაჟეთა (masseurs). პირველათ არის სტატისტიკაში მოხსენებული.

თუმცა სინდიკატებში შესულ ქალთა რიცხვი გაიზარდა და 1898 წლიდან 13,481-დამ გახდა 22,844 1900 წელში, მაგრამ, მიუხედავათ ამისა ეს რიცხვი მცირეა იმათ რიცხვთან შედარებით, რომლებიც დღეს გარეშე ორგანიზაციისა არიან.

რიცხვი ადგილობრივ სინდიკატთა წევრების,—იმ სინდიკატთა, რომელნიც დამყარებულ არიან თანამედროვე მუშათა მოძრაობაზე, შემცირდა: იგი ჩამოვიდა 15,945-დამ 9,880-მდე. ამისი მიზეზია ადგილობრივ სავაჭრო დამხმარებელ ასსოციაციათა საპროფესსიო ცენტრალურ ასსოციაციასთან შეერთება.

ამ ასსოციაციათა გარეშე არის კიდევ სინდიკატების სამი ჯგუფი:

1) ჰირშ-დუნკერის ასსოციაციები, რომლებშიდაც 1900 წელში 91,661 წევრი იყო, 1899 წლის 86,777 წევრის მაგიერათ, ე. ი., იმატა 5,62%-ით.

2) ეგრეთ წოდებული ქრისტიანული სინდიკატები (Les syndicats chrétiens), რომლებიც თავისი მოქმედებით თანდათან უახლოვდებიან თანამედროვე სინდიკატებს, რაიცა მათ დამაარსებელ ბურჟუებს შიშის ზარსა გვრის, ამ წლის ივნისში, მათი კომმისსიის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, შეიცავდენ 35 ორგანიზაციას 159,370 წევრით. წარსულ წელში კი მათ 112,160 წევრი ყავდათ. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ზრდა მოხდა ორი ორგანიზაციის წყალობით, რომლებიც წარსულ წელს „დამოუკიდებლათ“ ითვლებოდენ ერთია სინდიკატი „ქრისტიან მადნის მუშათა“, მეორე ზემო სილეზიის მუშათა წრე, 10,200 და 15,000 წევრებით. თუ ამას მივიღებთ სახეში, ნამდვილი ზრდა 22,000—25,000-მდე ვერ წარმოადგენს ბრწყინვალე შედეგს, განსაკუთრებით თუ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, თუ რა შეძლებისაა ეს ასსოციაციები, ან მას, რომ მუშათა დიდი რიცხვი ჯერ კიდევ ეკკლესიის გავლენის ქვეშ არის.

გარდა ამისა უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ რიცხვში მხოლოთ 78,664 წევრი ეკუთვნის ცენტრალურ ორგანიზაციას, 80,106 წევრი კი მის გარეშეა. ამგვარათვე საწევრო ფულის რაოდენობა, რომელსაც ეს ორგანიზაციები იღებენ (50 პფენნინგი წელიწადში—მინიმუმი, და 20 პფენნინგი კვარაში—მაქსიმუმი), ცხად-ჰყოფს, რომ მათ ფინანსიური მხრით სოლიდარობა აკლიათ. აგიტაცია, რომელსაც, მართალი რომა ვთქვათ, ეწევიან ეს ორგანიზაციები საწევრო ფულის გასადიდებლათ, ნაყოფიერია თავისი შედეგებით, რადგანაც სინდიკალურ იდეას ეძლევა ახალი საზრდო თვით იმ მიზეზით, რომ პატრონები ებრძვიან ამ აგიტაციას. ამგვარათ მუშათა ამ წრეებმა შეითვისეს ნელა-ნელა თანამედროვე სინდიკალური ცნობიერება.

3) ბოლოს მოვიხსენიოთ დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებსაც ცოტათ თუ ბევრათ სინდიკალური ფუნქციები აქვთ. საყოველთაო კომისიამ აღნიშნა 21 ასეთი ორგანიზაცია 53,717 წევრით.

ამგვარათ გერმანიის ყველა სინდიკატები შეიკავენ შემდეგ ჯგუფებს:

(ცხრილი მეორე).

ორგანიზაციები.	წევრთა რიცხვი.		%-ული პროპორც. წევრთა რიცხვისა	
	1899	1900	1899	1900
ცენტრ. ორგან. სინდიკ.	580.473	680.427	67.15	68.35
ადგილობრივი ორგანიზ.	15.946	9.860	1.86	1.01
ჰირშ-დუნკერის ორგანიზ.	86.777	91.661	10.04	9.20
ქრისტიანი სინდიკატები	112.160	159.770	12.27	16.05
დამოუკიდებელი ორგანიზ.	68.994	53.713	7.98	5.39
ჯამი . .	864.350	995.435	100.00	100.00

დამოუკიდებელ ასოციაციათა წევრების რიცხვი უნდა განიხილებოდეს როგორც მინიმალური რიცხვი, რადგანაც რა მოდენიმე ორგანიზაციის შესახებ ეს ციფრი არ იყო აღნიშნული 1900 წლისათვის. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1900 წელში იყო 1 მილიონი კორპორატიულ ორგანიზაციებათ შემდგარი მუშა, რომელთაგან $^7/_{10}$ ეკედლება თანამედროვე მუშათა მოძრაობას.

მრავალი ნიშნების მიხედვით შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ეს წელიწადი ვერ იქნება მოძრაობის იმგვარი ზრდის მოწამე, როგორიც იყო წარსული წელი: წინააღმდეგ, ჩვენ უნდა ველოდეთ შეჩერებას, უკან სვლას. 1900 წლის ბოლოში, 11 ორგანიზაციაში წევრთა რიცხვი ნაკლები იყო, ვიდრე ამავე წლის შუა-გულში. მაგრამ ეს ისე თავ-ზარ-დამცემი არ არის, როგორც იყო 1890 წელში, რადგანაც ამ დროიდან მოკიდებული ორგანიზაციებმა ძალა მოიპოვეს, ისე გაძლიერდენ მათი შინაგანი წეს-წყობილების წყალობით, რომ წევრების დაკარგვა ეს ისე საშიში აღარ უნდა იყოს, როგორც ეს იყო წარსულში.

სხვა-და-სხვა ცენტრალურ ასოციაციათა შორის, ლითონის მდნობელთა ცენტრალურ ორგანიზაციას ჰყავს 100,762 წევრი. ვერც ერთი ინგლისის კავშირთაგანი ვერ შეედრება ამ ასოციაციას.

მის შემდეგ მოდის: კალატოზთა ასოციაციები 82,964 წევრით, ხე-ტყის მუშები—73,972, მადნის მუშები—36,420, მრთველი მუშები—34,333, ქარხნისა და მრეწველობათა დამხმარე მუშები—30,847, ასოთ-ამწყობები—28,838, დურგლები—25,272, მეწაღეები—19,288, თუთუნის მუშები—18,500, შენობათა მუშები—17,901, გადატან-გადმოტანისა და გზების მუშები—7,006, მკერვალები—15,639, ნავთ-საგურების მუშები—11,414, ლუდის ქარხნების მუშები—11,410, მღებრები—10,906, წიგნის ამკინძველები—10,447, ქვის მტეხელები—10,000, ფარფორის მუშები—9,280, ლითონ-ამგადამდნობნი—9,153, შუშის მკეთებლები—7,101, მექანონეები—6,831, ლიტოგრაფები და გრავიორები—5,841, [illegible] ბი და გვირაბების მუშები—5,600, „კაჩეგრეს" მუშები—5,532, მჭედლები—5,550, დაბაღლები—4,779, მეპურეები—4,585, მექანდაკეები—4,543, მებელის მომრთავები და შპალერის გამკვრელები—4,437, ქვის მთლელები—4,195, საქალაქო მუშები—4,030, მეუნაგირეები—3,927, გემების ვერფებზე მომუშავენი—3,543, სპილენძის გადამდნობელნი—3,432, მეხელთათმანეები—3,425, სახლის გადამხურავები—3,169, ზღვაოსნები—2,898, მეშუშეები—2,772, მექუდეები—2,629, სახლის მლესავები—2,250, გემების მშენებლები—2,000, მეწისქვილეები—1,596, სასადილოებისა და სასტუმროების ბიჭები—1,470, სტამბათა დამხმარე მუშები—1,452, მომვარაყებლები—1,352, მეჩუქურთმეები—1,189, თუთუნის გადამრჩევლები—1,034, მეტყავეები—800, მებულკეები—786, ნოქრები—750, დალაქები—463, დეპოებშიმოსმუშავენი—436, ბიუროს მოხელეები—404, ლითონის ჩამომხსმელები—384, მებაღეები—358, ყასბები—254, მემასსაჟეები—179.

ამ წლის ციფრები რომ წასულისას შევადაროთ, დავინახავთ, რომ 4 ორგანიზაციაში მომხდარა წევრთა რიცხვის შემცირება: დალაქებისაში 412-ით, მეტყავეებისაში 570-ით, სახლის მლესავებისაში 500-ით და სართავ მრეწველობისაში 3,284-ით. ამის მიზეზი იყო: რაც შეეხება დალაქებს—ცენტრალური ორგანიზაციის ნაკლულევანებები, რაც შეეხება მეტყავეებს—უშედეგო გაფიცვები, სახლის მლესველებს—სხვა-და-სხვა ჯგუფთა შორის განხეთქილება, რაც შეეხება მრთველ მუშებს—ეკონომიური კრიზისი.

აბსოლუტური ზრდა 1899 წ-დან ყველაზე უფრო მეტი შესამჩნევია შემდეგ ორგანიზაციებში: ლითონის მდნობელ მუშათა—15,749 წევრით, ხე-ტყის მუშათა—11,402, სახლის ამშენებელ მუშათა—8,752, კალატოზთა—8,429, სავაჭრო, გადატან-გადმოტანისა და გზების მუშათა—8,276 და ქარხნის მუშათა—8,255 წევრით. პროცენტულათ შარშანდელი წლიდან გამრავლდენ შემდეგნი: შუშის მკეთებლები—95,72%, მჭედლები 63,17%, საქალაქო მუშები და ნოქრები 50%. ამ უკანასკნელთა გამრავლება აღრიცხულია მხოლოთ 250-ით, თუმცა მათი პროგრესსი სხვაზე ნაკლებ შესანიშნავი არ არის, რადგანაც ვიცით, თუ რამდენ დაბრკოლებებს უნდა სძლიონ ნოქრებმა, რომ ბოლოს და ბოლოს შეძლონ სინდიკალური ლაშქარის შედგენა.

თარგმ. მ. წ.

(შემდეგი იქნება)

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲚᲔᲢᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘ.

(გაკვრით).

დილეტანტიზმი აუცილებელი შვილია ყოველი ახალი საქმის! პირველ ხანებშივე მცოდნე პირების გამოძებნა ძლიერ ძნელია. აგრეთვე არ ადვილია ისეთი პირების მონახვა, რომელიც მთელ თავის სულიერ და გონებრივ ღონეს ჩაბერავს საქმეში; მთელ თავის ენერგიას დაახარჯავს მას. ბედნიერი ბოლო მოელის იმ საქმეს, რომელსაც ყველა კი არა, ერთი ასეთი პირი დაყობა! გავა დრო და საქმის სიცოცხლე სხვაგვარ მოღვაწეებს და სხვანაირ მოღვაწეობას მოითხოვს. არ მოკვდება ის საქმე, რომელიც ამ მეორე ხანაში შესაფერ მუშაკებს მოიპოვებს. ძნელია საჭირო კაცების უყოლობა. ამ მიზეზით შესაძლებელია სასურველი საქმის ჩაშლა. ქართულ თეატრსაც უკანასკნელი ბოლო მოელის, თუ დროზე არ დავეხმარეთ. ის სულ სხკაკვარ არტისტებს და მუშაკებს თხოულობს, სინამდვილე კი სრულებით წინააღმდეგს აჩვენებს ხელში. ორმოცდა ათი წელი შესრულდა ქართული თეატრის არსებობის და ამ-

დღე:ს ხნის განმავლობაში ჩამოგვითვალეთ, მარტო მისთვის თავდადებული რამდენი მოგვცა ცხოვრებამ? მიგვითითეთ ნამდვილ არტისტებზე და არა ისეთებზე, რომელნიც უმთავრეს ენერგიას სრულებით გარეშე საქმეზე ხარჯავენ? გ. ერისთავი და გ. თუმანოვი—აი უმთავრესათ ვინ ღწვოდა თეატრისათვის. დააკვირდით იმათ მიერ შრომის განაწილებას და მიიხარით, თეატრს თავის ენერგიის რამდენ პროცენტს აძლევდენ. დ. ყიფიანზე, რ. ერისთავზე, ა. წერეთელზე და ი. ჭავჭავაძეზე ლაპარაკიც არაა საჭირო. ახლანდელ მუშაკთ ყველა კარგათ იცნობს. ლაპარაკობენ, ყველა ეს გარემოების ბრალიაო. ვეთანხმებით მსჯელობას, მარა ამასთანავე არ შეგვიძლია არ ვიკითხოთ, გვყავდა ამ უკანასკნელ ხანებში მაინც ისეთი, რომელმაც სასურველათ ისარგებლა გარემოებით. ეს ხომ შესაძლებელი იყო. ერთათ ერთი ორგანო, რომელიც სხვებზე მეტათ უნდა ფიქრობდეს თეატრის აწმყო და მომავალ მდგომარეობაზე—დრამატიული გამგეობაა. მერე რაში მოჩანს მისი ღვაწლი? რომელ თვალსაჩინო საქმეს ჩაუყარეს საძირკველი თეატრის საქმეში? მეტყვიან, ის არ კმარა რომ დღემდე მოაჩანჩალეს თეატრიო? რასაკვირველია, არა. თეატრის კეთილდღეობა მოითხოვდა საქმის მართალ ნიადაგზე დაყენებას. მათი მოღვაწეობის უკანასკნელ ათეულებში ერთი ნიჭიერი ადამიანი არ უშოვია ჩვენ სცენას. მათ ვერ შეიძლეს რეპერტუარისათვის პიესების მომზადება. დრამას თუ ვინმე მიაწვდიდა გამგეობას, ორიგინალური იყო ის, თუ ნათარგმნი, გამგეობა უბრალო გადახედვისთვისაც არ იწუხებდა თავს („ივერია“, დუტუ მეგრელი). თუ რომელიმეს განიხილავდა, იქაც კურიოზი ემართებოდა (იანიჩარის ბედ-იღბალი). ეს ახალი გამგეობა და ძველებზე ლაპარაკიც არ ღირს. ჩვენი ნიჭიერი არტისტები გამგეობის მოწყალებით არ მონახულან და ისინი ხომ მაინც დიდი ხანია, რაც შეეძინა სცენას! ვ. აბაშიძე 1877 გამოვიდა, ვლ. მესხიშვილი 1881 წ., კ. ყიფიანი და სხვებიც ამ ხანებში. ქალებიც ამავე დროს გამოდიან სცენაზე. დღევანდელი ცხოვრება თითქო არ ბადებს არტისტებს! არა, უკეთესი იქნება ვთქვათ, ჩვენ ვერ ვეხმარებით ნიჭიერ ყმაწვილებს თავის გზას მიაგნონ. დღევანდელი ჩვენი არტისტების უმრავლესობა, თუ არა ყველა, დრამატიული ხელოვნების დილეტანტები თუა, კიდევ კარგი. რა გვეშველება, როგორ შეიძლება საქმის მოგვარება? ჩვენი სცენა დღევანდელივით სკოლათ უნდა დარჩეს, მარა არა ისეთათ, სადაც არტისტები სწავლობენ, არამედ სადაც ცხოვრებას სწავლობს ხალხი. პირველ ყოვლისა საჭიროა არტისტიული შკოლა თეატრის გარეშე დავიარსოთ. ჩვენში ეს მეტათ ძნელ საქმეთ მიაჩნიათ და მართალიც არიან. ჩვენ ცხოვრებას არ მოუცია ასეთ სასწავლებლისათვის საკმაო მასწავლებლები. მარა მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენში შემოკლებული საგნებით შეგვიძლია დრამატიული კურსები ვიქონიოთ. ამისათვის ძალებსაც ვიშოვით. მარტო კლასიკურ დრამებს რომ გავაცნოთ მომავალი არტისტნი და სცენიური ტეხნიკა შევასწავლოთ, ესეც დიდი ნაბიჯია წინ. დაბადებისათანავე მეცნიერის დიპლომი ვის მიუღია? ნათქვამია; „სულ არარაობას ცალ-ულელი ხარი სჯობიაო“. ასეთ მცირე რამესაც მით უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის, რომ ქართველებს ერთი სპეციალური და ნიჭიერი თეატრალური რეცენზენტი არ გვყავს. ჩვენი რეცენზიები ერთგვარი შაბლონზე შეკერილი და საზოგადო სიტყვებით სავსე ტირადებია. არ გვაქვს სპეციალური ორგანო და არც ჩვენი პრესა აქცევს დიდ ყურადღებას თეატრს.

დრამატიული კურსები ამიტომ ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილებაა. ჯერ-ჯერობით ესეთი კურსები გავხსნათ მხოლოთ ზაფხულობით. მაშინ ჩვენი თეატრის ბოძები უმეტესათ თავისუფალი არიან. ამ დროს შეგვიძლია მოვიწვიოთ ჩვენი თანამემამულენიც, რომელთაგან ერთი მოსკოვში და მეორე კიევში მასწავლებლებათ ითვლებიან არტისტიულ სკოლებში. აგრეთვე შეგვიძლია უცხონიც მოვიწვიოთ, ჩვენ [illegible] მოცდილ არტისტებს და ცნობილ დეკლამატორებს [illegible]ბათ, რასაკვირველია, ადგილი. ამგვარ შკოლაში გაზრდილი შეგვიძლია სცენაზეც გამოვიყვანოთ, თორემ ახლანდელი „დებიუტები“ სირცხვილის სიწითლეს გვრიან მაყურებელს. არც გასაკვირია, ჩვენ სცენაზე ისეთებს ღებულობენ და როლებს ურიგებენ, რომელთაც არც კი უნახავთ სცენა. უფრო ნიჭიერი და მცოდნე ყმაწვილი დრამატიულ კურსების გამგეობას შეუძლია გაგზავნოს რუსეთში არტისტიულ სკოლაში ან და ევროპაში საუკეთესო თეატრებისა და არტისტების სანახავათ ჩვენი ბრწყინვალე თავად-აზნაურობა ურიგოს არ იზამს ამ საქმეს ჩაუყრიდეს საფუძველს! ბანკიდან გამოსატანი ფულის ერთი ნაწილი რა უშავს ამ საქმისათვის გადადონ? ეროვნული თვითცნობიერების გაღვიძება დღეს ყველას პირზე აკრავს და თეატრი ხომ ერთი ამის საუკეთესო იარაღია. აქ არ იყოს, წყარო სხვაგანაც მოინახება. ჩვენი ხალხი ეკონომიურათ და გონებრივათ გვარიანათ წაიწია წინ და სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ის არ ზოგავს ჯიბეს. თუ დღეს თფილისის და ქუთაისის თეატრებში საკმაოთ არ დაიარება საზოგადოება, ამის მიზეზი თეატრის მდგომარეობაში იმალება. თუ კი თეატრი არ მიცემს საზოგადოებას იმას, რასაც ის ეძებს, უსათუოთ ცარიელი დარჩება. ჩვენი რეცენზენტები ხშირათ ქართველის ეროვნულ გრძნობას მიმართავენ, რომ ხალხი მოიტყუონ, მარა მათ ერთი ავიწყდებათ: თეატრი საქველმოქმედო დაწესებულება არაა. არ იქნება ურიგო ჩვენი დრამატიული გამგეობა და ქართული დასებიც დაიჭდიდენ ცხვირზე ამ აზრს. შეიძლება ჩვენ ხალხში არ იყოს გაზდილი თეატრის მოთხოვნილება? ამ აზრს უსაფუძვლოთ ხდიან პროვინციებში გამართული წარმოდგენები. იქ ხალხი ციურ მანანასავით ელის წარმოდგენებს და თუ ფულებმა შეუწყო ხელი ძვირათ დააკლდება; თუმცა, უნდა გამოვტყდეთ, პროვინციების წარმოდგენები უმეტესათ დრამატიულ ხელოვნების პროფანაციაა. ჩვენი ფიქრით, დრამატიულმა გამგეობამ უნდა ხელმძღვანელობა გაუწიოს პროვინციალურ სცენის მოყვარეთ. შარშანდელი მაგალითი გვაჩვენებს, როგორ იზდება საქმე. ხონში საზაფხულო თეატრი ააშენეს, ყვირილაში მუდმივი სცენაც იყო, ჭიათურაში მუდმივი თეატრი ააგეს, გურიაში დასი შედგა წარმოდგენების გასამართავათ და სხვა. დასახელებულ ადგილების ზოგ ალაგას მაინც საქმემ ნიადაგი მოიპოვა. აქ უნდა გამოცდილი და ენერგიული ხელი, დრამატიული საზოგადოება მოგვცემს და ან მიუთითებს ასეთზე?! ვიცოცხლოთ და ვნახავთ...

ვ. შავლია.

სამშობლოს ცაზე.

როგორც ვიცით, ადამის პაპისაგან დაარსებული, მათუსალის ნათლული და საპარლამენტო წევრთა ქარხანა ქ. ოზურგეთი მთელი ერთი თვე აბრეშუმის ბადით დასდევდა ამავე ქალაქის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის გამგე ჭეიშვილს. ისიც გავიგეთ, რომ ერთმა ასი დაამარცხა და იგივე ჭეიშვილი კვლავ იქნა მირონ ცხებული, დაგვირგვინებული და ამავე ამხანაგობის გამგებლათ აღიარებული. არ ვიცით, მხოლოთ საუცხოვო კრებამ საუცხოვო განაჩენისა დაუწერა თუ არა „მენიუ“ ბ-ნ ჭეიშვილს შემდეგისათვის ასაცდენელათ ზოგიერთი უბედურ შემთხვევებისა, რომლებიც ამავე „მენიუს“ წყალობით დაემართა «ამხანაგობას», მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ბრძოლის მოედანი დარჩა ისევ მესაფლავეს აბრეშუმის ამხანაგობისას. ეს ყველაფერი ყველაზე უფრო საყურადღე-

ბოა, თვით ამხანაგობის წევრებისათვის, რომლებიც დივიდენდის მაგიერ დღეს პარკიდან ამოფრენილ პეპლებს ღა იჭერენ. მაგრამ კერძოთ ჩემთვისაც ამას ერთი უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

მე ვერ წარმომედგინა, თუ ჩემისთანა პატარა კაცს, იმისთანა დიდი კაცისგან თხოვნა მოერთმეოდა. ხუმრობაა? სად ჭეშვილი, გამგე მთელის (უკაცრაოთ გატეხილის) კორპორაციისა, რომელმაც მუხლის თავით „ტრუბაში“ შეავდო რამდენიმე ასი სული, და სად პატარა რიგოლეტო, რომელსაც „კვალის“ კუთხის კუნჭულში მიაგდებენ ხოლმე! და აი სწორეთ ამისთანა დიდი კაციდან ჩემისთანა პატარა კაცს მოერთვა თხოვნა. „ბატონო რიგოლეტო! მწერს ბ-ნი ჭეშვილი, თუ ღმერთი გწამს, მე თავი დამანებე და სხვაზე კი რამდენიც გენებოს იმდენი კალამი გაცვითეო“ გესმით! ჯერ ერთი, რომ ჩემს ქვეყანაში „ბატონი“ არაენ გახლავთ, და მე კი უცებ გავბატონდი, და მეორეც ისა, რომ მთხოვენ გაგვიშვი, შარაზე გავიარეთო. თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და ის კი იყო ვაპირებდი მიმეწერა ოზურგეთელებისთვის, რომ ამიერიდან ფიანდაზით მოეფინათ ეს შარა ჭეშვილისთვის, მაგრამ უცებ შეიცვალა «საშშობლოს ცა», ასტყდა ჭექა და ქუხილი.

იუპიტერათ იგივე ჭეშვილი გამოჩნდა. თხოვნის შემდეგ გამირისხდა, და მუდარის შემდეგ მუქარა შემომითვალა. მივიღე მეორე პაკეტიკ. მაგრამ შიგ სულ სხვა დამიხვდა, ვიდრე მეველოდი. ის ახლა მირისხდება, მიქადის ცისა და ბატონის რისხვას, კირის მოტეხვას, გაცამტვერებას დამუჭაში გაწურვას. რამდენათაც პირველმა მისმა ეპისტოლემ ალმაფრთოვანა, იმდენათვე დამაღონა მეორემ. ხუმრობა ხომ არ არის?! ერთიც ენახოთ მართლა გავარდეს, მერე რომელ ხეს ღა ამოვეფარო!

მუქარისა და თხოვნის შემდეგ ერთი რამ მინდა მოვახსენო ოზურგეთლებს: შემიბრალონ და გამომიგზავნონ ერთი ჯაგლაგი ლაფშა თავის უნაგირთ, თანახმათ ანდაზისა „სიმართლის მთქმელს ცხენი მზათ უნდა ყავდესო“, ან არა და იმ ჭოგებიდან, რომელიც ხვდა აბრეშუმის ამხანაგობას ერთი ბურთი მაინც უყიდონ ბაგესა ჩემსა ესოდენ შემცოდესა მათს ბატონ-პატრონის წინაშე.

*
* *

მეოცე საუკუნეში ჩოხატაურის და ხიდისთავის მემატიანეს ერთი ღირს შესანიშნავი საუცხოო ამბავი მოუხდება შეიტანოს სამშობლოს ისტორიაში. დეე შვილი-შვილებმა სცნონ და გაიგონ, რომ ოდესმე ამ ორ დაბასაც უცემდა გული მკერდ ქვეშ, რომ მათაც არ ეძინათ, როდესაც სამშობლო განსაცდელში იყო და მარად აფასებდენ ყოველსავე ღირს შესანიშნავ მამული შვილს. აი თუნდ ავიღოთ სულ პატარა ფაქტი, მაგრამ დიდათ დამახასიათებელი კი ჩვენის პროვინციისა, საზოგადოთ, და ამ შემთხვევაში კი თვით ხიდისთავ-ჩოხატაურისა:

ჩოხატაურ-ხიდისთავიდან გადაუყენიათ მეორე ადგილზე იქაური ბოქაული. როგორც ზემოხსენებულ დაბების კორესპოდენტი მოკვითხრობს ამ ამბავს ერთიან ფეხზე დაუყენებია იქაური ინტელიგენტი არა ინტელეგენტი, ვაჭარი და სხვა. დაუწყვია ერთს, მიყოლია მეორე და ასე და ამგვარათ მთელი ორი კვირის განმავლობაში უხადილია ამ ორ დაბას. გაუმართნიათ ორმოცდა ერთი სადილი, დაუკლავთ ორასი ნიშა ხარი და გამოუცხვიათ ათასი ტომარა ხაჭაპური. არ ვიცი, რა უფრო უხაროდათ მოქეიფეთ ღვინო, დუდუკი, ქალები, ბოქაულის წასვლა თუ... მაგრამ არა! მათ უხაროდათ ის, რომ გაიგებენ და იტყვიან:

> დახე ჩოხატაურსაო,
> ჯიბეს ხელი გაუსვაო,
> სამშობლოს სადიდებლათ
> კეხური გადაუსვაო!

და „გადაუსვა“ კიდეც, მაგრამ საქმე ეს არ ამოწურულა ხელოვნებაზე კი კაი გუნებით ვერ ამდგარა, რადგანაც ქეიფის შემდეგ შეკითხვია თავის თავს:

> ნეტავ რა მიხაროდა,
> რათ დავხარჯე ნაზუქი?
> ამ ჩვენ დაბის ქუჩებზე
> ისევ ერია სასუქი!
> ეხოთარი და სასწორი
> ტეკვს გვაძრობენ უდმერთოთ,
> ვისაც ღვინო უყვარდეს
> სადიდებლა უკეთოთ?!

*
* *

ვინ არ იცის რამდენი მეხვერპლი შეუწირავს ჩვენ უხვს სამშობლოს პარნასისათვის, რამდენი დასახიჩრებული გვამი გადმოუშვია ცოდვილ დედამიწისაკენ პოეტებს შეუბრალებელ ღმერთს აპოლონს. რამდენ მათგანისთვის უტკეცია სილა და უჩვენებია გზა ისევ ცოდვილ დედამიწისაკენ.

აი ამისთანა უბედური მსხვერპლები დღეს უთვალავ რაზმებათ დადიან და ამძიმებენ სამშობლო მიწას. ამიტომ ზოგიერთ რედაქციებს აუშენებიათ მათთვის თავშესაფარი, და მუზისაგან მოძულებულნი მიუსვენებიათ თვის მკლავზე. ერთი ამისთანა შეწყნარებული და შევრდომებული ვნახეთ ჩვენ «მოამბის» № 1-ს მკერდზედაც. ჩვენ არას ვიტყოდით ამ პარნასზე ფეხ მოსხლეტილ პოეტის შესახებ, რომ ის სამაგიეროთ სხვასაც არ მოქცეოდა ასევე ულმობელათ და შეუბრალებლათ. ამ პოეტს, სახელდობრ კონ. ნიკოლაძეს, ჯვარს უცვამს საწყალი პუშკინი. უთარგმნია მისი ერთი საუცხოო ლექსი „სტანსი“, მაგრამ ვაი ამ თარგმანს და ვაი პუშკინის დიდებულ კალამს. ის ერთიან დაუსახიჩრებია ბ-ნ ნიკოლაძეს. გადაუბრუნებია აზრი, გადაუბრუნებია სიტყვა, დაუბამს პუშკინის მკვირცხლი ენა და მოსხლეტილი რითმა პარნასიდან ვადმოგდებულ გატეხილ ჩანგზე და ასე აცნობს „მოამბის“ მკითხველს დიდებულ პოეტს. მეორეც ესა, ლექსის უკანასკნელი ოთხი სტრიქონი სრულებით გამოუტოვებია. სჩანს არ მოეწონა ეს ტაეპი ბ-ნ ნიკოლაძეს. ან უდროოთ ტმუხთლა ჩანგმა და გაუწყდა სიმი! რასაკვირველია, ამისთვის საყვედური არ ეთქმის პოეტს, სჩანს თვით აპოლონი მიშველებია საწყალ პუშკინს, მაგრამ ეცნევა გვიან გაუგია პოეტების მფარველს, თუ რაოდენ შეურაცყოფას აყენებენ მის კვარცხლბეკს.

სამწუხაროთ ეს სენი საერთოთ ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა სჭირთ და ამიტომ არ შემიძლიან გულითადის მწუხარებით არ ვაუწყო ქართველ მკითხველსაც, რომ

> „პოეტობა დავარდა,
> ადარ არის ხეირი,
> მუზები დაუკოტრდაო,
> მოდით ნახეთ სეირი!
> ამას ჩანგი გაუტეხა,
> იმას კი ჩანგის წკირა,
> პარნასზე ავბედობისა
> ეკვლამ ერთათ შესტირა:
> „შეგეიბრალე, უფალო,
> ეგვლა შენი მონაა,
> სიმუბათ მზის სხივი გვაქს,
> ჩანგი ოქროს წონაა!“
> მაგრამ, მუზათა მეფე
> დახეთ რაგორ მოიქცა,
> გაბეჭიას რა სტკიცა,
> ქვარიანი წაიქცა!

ლასურიძეც ზედ მიყვა,
მიჩანჩალებს გვაზავა,
შიშით კრიჭა შეკრა
რითმა ვერ შეაზავა!
ყველა ერთათ რო დასხდენ
ქანდარაზე ქვევითა,
კვირობენ ამგვარ საქმეს
თავების ქნევითა!"

* * *

ქუთაისში, მოგეხსენებათ, არსებობს ეგრეთ წოდებული „პურის მცხობელთა ამხანაგობა". ამხანაგობის საქმე ღვთის წინაშე ხაბაზის წყალობით კარგათ მიდის. აცხობენ საუცხოვო ნაზუქებს, ხაჭაპურს, ლავაშებს, ქადებს და სხვა, რითაც კი მოიგება გული და კუჭი ქუთაისისა.

„ივერის" ტელეგრამიდან შევიტყეთ, რომ ამ ამხანაგობის წევრობის სურვილი განუცხადებია ბ-ნ „პლებსსაც". ვიცი ქუთაისელები არ ეტყვიან უარს „ივერიის" ქურაში გაწვრთნილ ხაბაზს, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელ დროს გვიჩვენა მან თავისი უნარი: ერთი პატარა წკირით ორი გოდორი ქადა გამოაცხო. ეს პატარა წკირი „კვალმა" გადაუგდო მას და იმანაც მართლაც რო გამოიყენა. მე მოგახსენებთ „ივერიის" მე-35-ე ნომერში დასტამბულ წერილზე: „საკენკად". ღმერთმა უშველოს „მოსაუბრეს", რომ ასე ადვილათ შეუკეთა „ივერიის" ქურას ბ-ნმა პლებსმა. ღმერთმა უშველოს მოსაუბრესმეთქი, ვამბობ, იმიტომ რომ მისი წერილის სხოლიოში („ივერიის" „კალმისა" და „პლებსის" მიმართ) შეეპარა „კვალს" კორექტურული შეცდომა. სიტყვა „მეოთხეს" მაგიერ დაბეჭდილია „მეორე" და მით აქანა ზეცისაკენ ალი ბ-ნმა „პლებსმაც" „ივერიის" ქურაში. ის დაებღაუჯა ამ კორექტურულ შეცდომას და ერთი სიტყვის წყალობით ორი არშინი „ტატია" გამოაცხო. ნუ მოგეშალოთ გამარჯვება, როგორათაც „პლებსმა" გაიმარჯვა ადვილათ. ის ორი ბუქნით ავიდა იალბუზის წვერზე და სიცილ-ხარხარით გადმოიძახა:

შემომხედეთ რა ბიჭი ვარ,
როგორ ვიჭერ კურდღელსაო,
ორი ბუქნით ავიცდენავ
ხაფანგსა და უღელსაო!
ვიცინებ და ვიხარხარებ
გამარჯვებულ გმირივითა,
ვინა სთქვა რომ „ივერიას"
დიპლომატი გაეცვითა!

რიგოლეტო.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ჩვენმა ყოველდღიურმა გაზეთებმა მიაქციეს საზოგადოების ყურადღება მომავალ ქალაქის არჩევნებს და შეუდგნენ ჯერ-ჯერობით იმის გამორკვევას, თუ როგორ უნდა დაიჭირონ თავი ამ არჩევნებში ქართველებმა.

«ცნობის ფურცელი» (№ 1722) თავისი, მეტათ ჩქარი „ევოლიუციის" მორჩილი, ა. ჯორჯაძის პირით გვეუბნება, რომ ქართველთა და სომეხთა უთანხმოება ეროვნულ-ეკონომიურია, მაგრამ ამასთანავე გონია, „რომ სომხების და ქართველების დემოკრატიულ წრეებში საკმაოდ არის მომზადებული ნიადაგი", რასაკვირველია, საერთო მოქმედებისათვის. მისთვის სასურველია, „რომ ამ საარჩევნო ნიადაგზედ მაინც მოხდეს შეთანხმება სომხების და ქართველების იმ ჯგუფებისა, რომელთაც ესმით შეთანხმებული მოქმედების ფასი». მიუხედავათ იმისა, თუ რა იარლიკს აწებებს „ცნობის ფურცლის" „ევოლიუციონისტი" ამ ურთიერთობას, ჩვენც გვგონია და ამას არც დიდი ფიქრი უნდა, რომ ის ჯგუფები, რომელთაც შეგნებული აქვთ საერთო მოქმედების ფასი, ერთათ იმოქმედებენ ე. ი. ვისაც შეუძლია, ის იმოქმედებს ერთათ. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამ საერთო მოქმედების შემძლებელნი ნაწილები ორივე ერისა დღევანდელ თვითმართველობის გარეთ არიან დარჩენილი. მაინც აქ ამას არ გამოვუდგებით. ჩვენ გვაინტერესებს თვით არ. ჯორჯაძის „ევოლიუცია" და სწორეთ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ მისი პირველი წერილი ქალაქის თვითმართველობის შესახებ, „ცნობის ფურცლის" რედაქციის შენიშვნით გამოვიდა, რომელიც აცხადებდა, რომ რედაქცია არ ეთანხმებოდა ბ. ჯორჯაძეს. საზოგადოთ კი ბ. ჯორჯაძე ქართველ-სომეხთა ურთიერთობაზე შემდეგი შეხედულებისა იყო: „ჩვენ ხშირათ გვესმის ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენი მტერი სომეხთა ბურჟუაზიაა, ხოლო სომხის ხალხი კი ჩვენი მეგობარი უნდა იყოსო, რადგან ის ჩვენს ხალხთან ერთს და იმავე ტაფაში იწვისო. ჩვენის აზრით (ჯორჯაძის, რასაკვირველია) კითხვის ამგვარათ დაყენება ჩვენთვის შეუწყნარებელიაო", ამბობდა ბ. ჯორჯაძე იმავე გაზეთის № 1482-ში გასულ წელს. დღეს კი „დემოკრატიული ჯგუფების ერთობა სასურველათ, შესაძლებლათ და ორივე მხრიდან შეგნებულათ" მიაჩნია, ე. ი. შარშანდელი შეუწყნარებელი წელს სატრფიალოთ გახდომია. არა მგონია ვინმემ დაკვისახელოს სხვა, ასეთი სისწრაფით განვითარებული და გაევოლიუციონებული „მწერალი".

* * *

საზოგადოთ „ევოლიუციის" ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლება არჩილ ჯორჯაძის უკანასკნელი ნაწერებიდან, მაგრამ იგი ამ „ევოლიუციისთვის" არის გაჩენილი და ამიტომ მისი გაყოლა შორს წაგვიყვანს. წავიკითხოთ ჯობს „ივერიის № 35-ის ნარკვევი და დავუკვირდეთ ეტყობა თუ არა მასაც „ევოლიუციის" ნიშნები. ამ ნარკვევში ჩვენი თეატრის შესახებ შემდეგია გამოთქმული: „ქართულს თეატრსაც სრულებით არ უნდა ჰქონდეს სხვისი იმედი, თუ არა ხალხისა, ჩვენმა არისტოკრატიამ კარგა ხანია ზურგი შეაქცია ქართულს წარმოდგენებს. აბა, როგორ ეკადრება მას ასეთი უბრალო გასართობი?! დრამატიულ საზოგადოების კომიტეტმა უკვე შეიგნო ესა და ხალხისკენ მიიწია. მაგრამ აუცილებელია ხალხთან კიდევ უფრო დაახლოვება. ნურავინ იფიქრებს, რომ 1 მან. და 50 კაპ. ადგილები ყველასთვის ხელ-მისაწდომი იყოს. საჭიროა დრო-გამოშვებით მაინც 5—20 კაპ. წარმოდგენების გამართვაც». იშვიათათ მოხდება რომ ჩვენ „ივერიას" ვეთანხმებოდეთ, განახლების შემდეგაც, მაგრამ ამ ხელმოუწერელ სიტყვებს ორივე ხელით ვაწერთ ხელს. ვკითხულობთ და არ ვუჯერით ჩვენ თვალებს! ნუთუ მართლა ეს „ივერიის" ფურცლებზეა ნათქვამი, და მერე ასე „ურიგოთ და უმართებულოთ" არის მოხსენებული „ჩვენი არისტოკრატია", რომელიც ისეთივე შვილია ჩვენი ერის, როგორც (კიდევ უფრო თუ არა) ყველა სხვა ნაწილები?! *) ნუ თუ შესაძლებელი და წარმოსადგენია, რომ „ივერია" «ხალხისკენ დაწევაში» ვისმე აქეზებდეს და ბრწყინვალე არისტოკრატიის ზურგის შექცევას ურჩევდეს! მაშინ ხომ ქვეყანა ცალ ვეშაპზე დარჩება და ვინ იცის რა არ მოუვა! ვაი, დრონი, დრონიო, იტყვის გულუბრყვილო მკითხველი, რომელმაც არ იცის რომ ბ. Plebs-ი უქეიფოთ ბრძანდება, როგორც თავაზიანათ შეატყობინა მკითხველებს იმავე №-ით, თორემ მას, სხვისი გაზეთის კორექტურულ შეცდომების მასწორებელს, ასეთი აზრები ვერ გაეპარებოდა და სამშობლოც საფრთხეში არ ჩავარდებოდა!.. ესეც, ალბათ «ევოლიუციის» მაჩვენებელი უნდა იყოს! დასაწყისისთვის ესეც კარგია...

*) იხ. Plebs ი, ურბნელი და მ. ტფილისელი.

«ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ» ᲗᲐᲕᲐᲖᲘᲐᲜᲝᲒᲐ.

ძველი დრო რომ იყოს, დრო „ივერიის“ მონოპოლისტობისა, მე არა თუ თოვლისში საქართველოს სხვა კუთხეშიაც ადარ დამედგომებოდა, იმ ზოგიერ კაბარისებია «დარბაისელი» გაზეთი ჩემი ბატარა წერილიო მისი რედაქციის მიმართ, რომელშიც ეთხოვდი: ეუწყებინა ბ. Plebs-ისთვის, რომ მისი წარმავალი „გამარჯვება“ „კვალის“ მოსაუბრეზე კორეკტურულ შეცდომაზე იყო დამყარებული. ჩემი წერილის „ივერიაში“ გაგზავნის მიზეზი განმარტებულია იმავე წერილში, მაგრამ „ივერიის“ რედაქციას არ ესმის, რომ ბასუხის მგებელი კორეკტურული შეცდომისათვის ავტორი არ უნდა იყოს, და თუ რომელიმე რედაქციამ ასეთი შეცდომით უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ვინმე, ვალდებულია თვითვე აცილოს ეს უხერხულობა. და მე როგორც „კვალის“ ახლობელმა თანამშრომელმა და რედაქციის წევრმა, სჯერათ დავინახე ეს მოვალეობა ამესრულებინა; ამასთანავე მინდოდა, გასწორება იმავე გაზეთში დაბეჭდილიყო, რომლის თანამშრომელმა ისეთი ეოეოხა წერილი ავგო ამ შეცდომაზე. სურვილი სრულიად კანონიერია. მინდოდა აგრეთვე დამენახვებინა „ივერიის“ მკითხველისთვის, თუ რა „საკენკეთი“ იკვებება ძველმოსილი მეტნიერი Plebs-ი. ორივე ეს მიზანი მიხწეულია, მიუხედავათ იმისა, რომ ამ „თავზიანმა“ გაზეთმა წინ და უკან თავისი შენიშვნები წაუძღვარ-გაკეთა ჩემ წერილს. რაც შეეხება თვით იმ შენიშვნებს, ისინი რომ სიშორეა ეოფილიყვენ ჩემთვის, მაშინ არა თუ „ივერიაში“, „კვალშიც“ არას დავწერდი. მაგრამ „დრონი იცვალნენ“ და ჩემთვის სასირცხვო ის იქნებოდ, „ივერიას“ რომ შენიშვნები არ გაეკეთებია და მოგწონებოდი. მაინც მადლობელი ვარ „ივერიის“ რედაქციის, რომ, რა სახითაც იყო, დაბეჭდა წერილი, ოუმცა არც ერთი რიგიანი და თავზიანი რედაქტია იმას არ იკადრებდა, რაც „ივერიის“ რედაქციამ ჩაიდინა. სხვა—ან დაბეჭდავდა წერილს წერილათ, ან უარს შამოიოვლიდა. და თუ მაინცა და მაინც სჯერათ დანახვადა, იმავე №-ში ბასუხსაც მოამცქმდა, მაგრამ „ივერიას“ რომ ამისთანების გაგების თავი ქონდეს, მაშინ ხომ „ივერიაც“ არ იქნებოდა! ასეთია ბირველი თავზიანობა „ივერიის“ რედაქციისა. მეორე თავზიანობა კი იმაში მდგომარეობს, რომ მან ვერ გაბედა Plebs-ის უდასტუროთ იმისი გამოცხადება, რომ მართლა კორეკტურულ შეცდომას ქონებია ადგილი და გვეუბნება, „შეცდომის შესახებ თვით ბ. Plebs-ი გაცემს ბასუხს ვისაც ჯერ არსა“. „ივერიას“ გონია, რომ ამ შეცდომის გასწორება და Plebs-ის ჩხირკედლობის გამომქადაგნება მარტო მისთვის და მოსაუბრისთვის არის საინტერესო. ცდებით, დარბაისელო რედაქციავ! აქ ბასუხის გაცემა «ჯერ არს» საზოგადოებისადმი, და მიკვირს, რათ აგვიანებთ ან თქვენ და ან თქვენი დირსეული თანამშრომელი. გწყენიათ ჩემ მიერ მოსაუბრისა და Plebs-ის თანამოკალმეების არა თავზიანი შეადარება, და შეიძლება მართლა ნამეტანი იყოს ნათქვამი გარეშე თანამშრომლებზე. მაგრამ თვით რედაქციას არც ახლა ავიცილებ იმ შედარებას: თუ ბ. Plebs-მა ვერ მოისაზრა და ვერ მახვდა იმას, რაც ჩემ წერილში არის განმარტებული, რედაქცია მაინც უნდა მიმხვდარიყო და არ უნდა მიეცა ადგილი იმისთანა შემოხვევით შეცდომაზე წერილის დამეარებისა. მაგრამ, რას ვამბობ. განა „ივერიის“ რედაქცია—რედაქცია!

დასასრულ ვოხოვ დარბაისელ რედაქციას, ამიხსნას, რას ნიშნავს მისი „სადურაა“? („სადურაა“?). თუ იგი მომართულია ჩემდამი, მაგახსენებ, რომ მისთვისაც და ჩემთვისაც ამ ყამათ სრულიად საკმარისია ვიცოდეთ, რომ მე „ივერიელი“ არ ვარ, ხოლო რამდენათაც საქმისთვის იყო საჯერო, ჩემი ვინაობა განმარტებულია მათ გაზეთშივე დაბეჭდილ წერილში.

ნ. ელიავა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გოხოვთ, ბატიოსანი ადგილი ადგენათ, ამ ჩემ წერილს „კვალის“ მახლობელ-ზომიერ ადგილს დაუთმოთ.

ბ. ი. ჭელიძეს ვიღაც რუის-ბირელი ანგარიშს იხოვს, თუ რა აიღო და რა დაახარჯა მან (ე. ი., ი. ჭელიძემ) იმ ხიდს, რომლის გაკეთებაც მას ქონებია მინდობილი. ამ ვაჟ-ბატონს ანგარიშისათვის გვერდი აუქცევია, რუის-ბირელის საკითხზე ეური მოუერუებია და აუღებელი თულების სია გამოუფენია, სადაც მე და ჩემ ძმას 4 მ. და 90 კ. გვევალება. ეს ანგარიში მან და რუის-ბირელმა იცოდეს, მსოლოთ ეს მაკვირვებს, მე და ჩემი ძმა, თვალიბუ, აქ რა შეგაში ვართ! რა დანაშაულობა მიგვიძღვის, რომ ი. ჭელიძეს მოსაზრება აკლდეს და თულებს ისეთ ბირებს აწერდეს, რომლებიც გადახდის ვალდებულნი არც ზნეობრივათ და არც იურიდიულათ არ არიან. ერთი კითხოს ვინმემ ამ ვაჟ-ბატონს, რა მოსაზრებით გაგვხადა მოსწილე იმ ხიდის გაკეთებაში? როდის გვსთხა რომ სიტყვეთ, სქმით, ხელ-წერილით ან რითიმე ამ საქმეში მისი ამხანაგი ვეოთვალიეოთ. როდის მიგვიწვია, როდის დაგვეკითხა, როდის მოგვალაპარაკა, რომ ასე გადაწყვეთ მოგვდგომია და თულებს გვოხოვს? თუ ამ თულების გადახდას ზნეობრივათ გვავალებს, აქ მამასახლისის მოწმობას რადა ხელი აქვს? ზნეობრივი მოვალეობა, თუ სად გამიბირდება შემწეობის ადმოჩენას, ამას ეოველ შემთხვევაში ი. ჭელიძე ვერ გასწავლის. და თუ ეს ვალდებულება იურიდიულია, რის მაქნისია მამასახლისი და ბოლიციის ძალ-დონე, თუ კანონიერათ გაწეს-რიგებულ და გაწერილ თულს ვერ მობოჭავს და თავის დროზე კუთვნილებისამებრ ვერ ჩააბარებს! თვით ის მამასახლისი, რომელიც ი. ჭელიძეს მოწმობას აძლევს, რომ ჩვენ ხვედრი თულები არ გადაგვიხდია, რა მოხელე ბრძანდებოდა, რომ ჩვეულებრივი ძალა ვერ იხმარა ჩვენგან 4 მ. 90 კ. ასადებათ! თუ აქ რადაც მიხვეულ-მოხვეული სქმე არ იყოს, რომელი უფლებებით შეიარაღებული მამასახლისი იძლეოდა მოწმობას, რედაქციაში წასაგენათ, რომ მე, ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, ამა და ამ კაცებისაგან თულები ვერ ავიღე და ხიდის გაკეთების საქმე შეფერხდა. ჩანს, ჩვენგან თულის აღებას რაიმე ხელს უშლიდა. უშლიდა ის, რომ არ შეეძლო; არ შეეძლო მისთვის, რომ ეს უკანონო იქნებოდა და უკანონოდ მისთვის იქნებოდა რომ ამ საქმეში მამასახლისს ჩვენთან არავითარი უფლება არა აქვს. ი. ჭელიძის გასაგებ ენაზე ეს ასე უნდა გამოვთქვა: იურიდიულათ ჩვენ ვალდებული არ ვართ ის თულები გადავიხადოთ თანხმათ 2406 стат. свод. закон., т. XI. ч. I, уст. уч. учр., изд. 1893 წ., რითაც მასწავლებლები *) თავისუფლდებიან იმგვარი გადასახადებიდან, როგორიც, მაგალითათ, ი. ჭელიძის კარ-მიდამოზე მისასვლელი ხიდის გაკეთებაა. სამწუხაროთ მომხენია, რომ აქ საქმის იურიდიულ მხარეს შეეგეხე, მარა რას იზამ, როცა ი. ჭელიძესთან ზნეობრივათ საქმეზე საუბარი ზედ მეტათ მომხენია. ხოლო რაც შეეხება იმას, ბ. ი. ქ—ძე ჭელიძეს, რომ მამასახლისმა თქვენ მიერ შედგენილ სიაში შეტანილი ჩვენი სახელი არ ამოშალა, რისაც ვალდებული ბრძანდებოდა, და გულის ქვეშის დასაცხრობათ ისეთი მოწმობაც გიბოძათ, რომ ჩვენ, ძმებს, ამით მეითხველი საზოგადოების თვალში ვითომც და ჩირქი მოგვეცხო, ამაზე ის თქვენი მანა-მოარჩილი მამასახლისი თავის დროზე და ადგილზე გამოგვესაუბრება. თქვენთან ამის შესახებ საუბარს კი ამით ვსჯობით.

ალექსანდრე ბუბუნას ძე მგელაძე.

ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

მ. ხ., ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გოხოვთ, მომცეთ საშუალება, თქვენი ბატივ-ცემული გაზეთი „კვალის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო, იმ ბატივ-ცემულ ბირთ, რო-

*) ჩვენ, ორივე ძმები, მასწავლებლები ვართ.

შეძლებაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ხიდის-თავის სამკითხვე-ლოს სასარგებლოთ. სია შემომწირველთა: ეს. მეგრელიძე, დიმ. ცინცაძე, სიღ. ებრალიძე, გიორგი ზენაიშვილმა, ვლ. გვარჯალა-ძემ, რაფ. შარაშიძემ, ივს. სიოფიძემ, ნიკოლ. ჭავჭანიძემ, სერ. იმნაძემ, ბათ. წილოსანმა, ხალ. ძაძამიამ, ვარ. ებრალიძემ, მ. შ. გვარჯალაძემ, სარ. ნაკაიძემ, ი. ბ. იმნაძემ, ტერეზია გვარჯალაძი-სამ, კატო ფეხაკაძემ—თითო მანათი; მოსე გოგსაძემ—50 კ.; და-სა დლონტმა, დათა ებრალიძემ—ექვს-ექვსი შაური; ბასილ. ჯორბე-ნაძემ—20 კ. სულ 18 მან. 30 კაპ. ეს ფულები გადაეცა დანიშნუ-ლებისამებრ ხიდის-თავის სამკითხველოს გამგეს ან. რამიშვილს.

მარია წილოსანი.

შეცდომის გასწორება.

„კვალის“ № 7-ში:

გვ. 110 სხოლიო სტ. 3 დაბეჭდილია „მეორე საუკუნიდან დაწყებული“ უნდა იყოს: „მეოთხე“ და სხვ.

გვ. 116 სტ 25 ქვევიდან დაბეჭდილია „ბელგია“ უნდა იყოს „სან-მარინო“.

იქვე მ. 11 სტ. უნდა იწყებოდეს „ბელგია“.

გვ. 115 სტ. 18 დაბეჭდილია: „სახარმზოთურთ“ უნდა იყოს „სახარაზოთურთ“.

«კვალის» ფოსტა.

კავკავი. ნ. კურდღელაშვილს. თქვენი მოხსენების ზოგის დაბეჭდვა უხერხულათ მიგვაჩნია ჯერ-ჯერობით. იმედი გვაქვს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა გამოუძიებლათ არ დატოვებს საქმეს. თქვენი საყვედურის შესახებ კი მოგახსენებთ, რომ სხვისი ურიგო ქცევა, თუნდ უარესიც, თქვენსას არ ამართლებს.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

განცხადებანი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ

„როინაშვილისეულის“

ფოტოგრაფიისათვის, რომელიც ღირსქმნილია

უმაღლეს იმპერატორებრივ

ჯილდოსა, მოწვეულია ახალი გამგე. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარი ფოტოგრაფიული სურათისა, რომელიც თავის დროზე და გულ-მოდ-გინებით მზადდება. ფასები ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, ხოლო მოსწავლეთათვის შეღავათიანი. ფოტოგრაფიას, რომელიც ყოველ-დღე ღია არის დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე, მრავლათ მო-ეპოება მუშტართათვის საქართველოსა და კავკასიის შესანიშნავი ად-გილების, ტიპების, მოღვაწეთა და ძეგლთა სურათები. (3—2)

თფილისის კერძო საავადმყოფო

მ. გედევანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 247.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა

დილით:

კ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი - ნერვებისა და წამლობა ელექ-ტრონით, 9—10 საათ., გარდა ხუთშაბ. და შაბათისა.

ქ. ბ. ფედოროვი—შინაგანი და ბავშვებისა, 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგ. სამშ. და ხუთშ. 10—11.

ნ. ა. მელინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა, 11—12.

ი. პ. ასალშენიშვილი—კბილის სნეულებანი, 11—12.

გ. მ. ელიოზიშვილი—შინაგ. და ბავშ. 11—12.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა, 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგ. 12—1.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათო-ბით, ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.

ს. ა. ვოინო—ქირურგიული, ორშაბათობით ოთხ-შაბათობით და შაბ. 1—2.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარ-დესი, 1—2.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა. 5—6.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან ავათმყოფ., 10—12.

საავადმყოფოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორი-გებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ღამ-ღამობით ექიმების მორიგობაა, ღამის 9 საათიდან დილის 7 საათამდე. მსურველნი შეუძლიათ სასლშიაც წაი-ყვანონ. (წლ.)

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“.

(წელიწადი მეათე)

გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე

მომატებული ფორმატით.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუ-კუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბი-ოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მო-ღვაწეებს.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შაური. ადრე-სის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორი აბაზი.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანონ:

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა კითხვის საზოგადო-ების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე - პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტი-შვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ ბეჟანიშვილის წი-გნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კალისტრატე ჭი-ჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირილაში ივანე არდიშვილ-თან. დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში. ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან. ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან. საჩხერეში—დი-მიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15февраля 1902 г.

სტამბა კ. ი. მარტიროსიანცისა, დიდი ვანქის ქ., № 1—2